ბიბლიო თეკა

პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 22 (20068) სამშაბათი, 26 იანვარი, 1988 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

საქარხნო მაღაზია

ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივი საყოფაცხოვრებო დანიშნულების მრავალფეროვან პროდუქციას უშვებს. მომხმარებელთა მიზიდვის მიზნით ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე გაიხსნა ბათუმში პირველი საქარხნო მაღაზია. მის თაროებზე გამოფენილია სხვადასხვა ნაწარმი: გორგოლაჭები, ქლობები, ღვედები, ლითონის, თუნუქის ნაკეთობები და სხვა სახის, პროდუქცია. რაც მთავარია, მაღაზიის მოსახლეობისაგან შეუძლია მიიღოს დაკვეთები მისთვის სასურველ პროდუქციაზე. ეს სიახლე მოსწონთ ბათუმელებს. პირველსავე დღეს მაღაზიაში მეერმა გაფორმა დაკვეთა.

▼ ▼

„...გვიჭირს საქართველოსთან განშორება"

— **სინანულია** თუ გამოვთქვამთ იმის გამო რომ ესოდენ ხანმოკლე იყო საქართველოში ჩვენი სტუმრობა, — თქვა თბილისიდან გამგზავრების წინ ნორვეგიის მეერ ახალგაზრდობის კავშირის თავმჯდომარემ ენს სტოლტენბერგმა. იგი მეთაურობს ამ ქვეყნის უდიდესი ახალგაზრდული ორგანიზაციის დელეგაციას, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა სსრ კავშირის ახალგაზრდული ორგანიზაციების კომიტეტის მოწვევით. ორი დღის განმავლობაში დელეგაცია ეცნობოდა ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებას.

▼ ▼

ახალი ამბულატორია — სოფლის მშრომელებს

ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩიბათის მშრომელებმა საუკეთესო საჩუქარი მიიღეს. დამთავრდა ორსართულიანი კაპიტალური სახლის მშენებლობა. აქ ამ დღეებში გაიხსნება ამბულატორია-პოლიკლინიკა. მოეწყობა სხვადასხვა კაბინეტ-ლაბორატორია: ბავშვთა კლინიკა, რენტგენის კაბინეტი; დაიდგმება უახლესი ტიპის სამედიცინო სამსახურის მოწყობილობანი.

ამბულატორია-პოლიკლინიკას მოემსახურება თერაპევტი, სტომატოლოგი, ნევროპათოლოგი, პედიატრი, სხვა სამედიცინო დარგის სპეციალისტები.

რადიკალური რეფორმის გზებით

სსრ კავშირის სტატისტიკის ცნობა

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

I. სახალხო მეურნეობის განვითარების ზოგადეკონომიკური მაჩვენებლები

სახალხო კავშირის მშრომელებმა, რომლებიც პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებს ასრულებენ, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის წელს უზრუნველყვეს საზოგადოებრივი წარმოებისა და მისი ეფექტიანობის შემდგომი ზრდა. გაუმჯობესდა სახალხო კეთილდღეობა. თანამიმდევრულად ხორციელდებოდა რადიკალური ეკონომიკური რეფორმა, ინერგებოდა ახალი ორმეურნეო მექანიზმი.

დასახული ტემპის შესაბამისად გაიზარდა პროდუქციის მოცულობა და შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში. სტაბილურად მუშაობდნენ სათბობ-ენერგეტიკული და მეტალურგიული კომპლექსები. დაჩქარდა მანქანათმშენებლობის პროდუქციის განახლება. იზრდება აგროსამრეწველო კომპლექსში მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების მოცულობა. კაპიტალურ მშენებლობაში გადიდდა იმ სახსრების წილი, რომლებიც მოქმედი წარმოების ტექნიკურ განახლებასა და რეკონსტრუქციას ხმარდება. მრავალი წლის მანძილზე პირველად მოხდა, რომ წარმოების მთელი მატება უზრუნველყოფილია შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე, მატერიალური წარმოების დარგებში დასაქმებულ მუშაკთა რიცხვის გაუდიდებლად.

თანამიმდევრულად ხორციელდება ანტიერი სოციალური პოლიტიკა. მიღწეული ან გადაჭარბებულია ხუთწლიანი გეგმის 1987 წლისათვის დასახული დავალებები მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების ზრდის, საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ.

ამავე დროს სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში ვერ დავძლიეთ დასახულ დავალებებთან შედარებით დაშვებული ჩამორჩენა, ვერ უზრუველყოფილი წარმოების სტაბილური და განუხრელი ზრდა. ნელი ტემპით ინერგება სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები. ჯერ კიდევ დიდი ისეთ საწარმოთა რიცხვი მრეწველობაში, რომლებიც ვერ ასრულებენ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. ბევრი საწარმოსა და ორგანიზაციის ფინანსური დგომარეობა კვლავინდებურად დაძაბულია. გასულ წელს არ მომხდარა ძირეული გაუმჯობესება მანქანათმშენებლობის, მსუბუქი მრეწველობის მუშაობაში, განსაკუთრებით ნაწარმის ხარისხის ასამაღლებლად. სრულად ვერ კმაყოფილდება მოსახლეობის მოთხოვნა საკონსერვო და მომსახურებაზე.

1987 წელს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მაჩვენებლების **მატების ტემპი** ახასიათებს შემდეგი მონაცემები (პროცენტობით)

	1986 წლის საგეგმო მაჩვენებლებთან შედარებით	წინამორბედ 5 წლის მანძილზე	1987 წლის ფაქტობრივი დონეთა შედარებით
წარმოებული ეროვნული შემოსავალი	4,1	2,5	2,3
მრეწველობის პროდუქცია — სულ	4,4	4,4	3,8
მათ შორის:			
წარმოების საშუალებათა წარმოება	4,3	4,8	3,8
მოხმარების საგნების წარმოება	4,5	3,4	3,8
სოფლის მეურნეობის პროდუქცია	2,2	0,2	0,2
ძირითადი ფონდების ამოქმედება	4,6	—2,7	5,0
კაპიტალური დაბანდებანი	6,0	4,1	4,7
ყველა სახეობის ტრანსპორტით გადაზიდვის (გაგზავნის) მოცულობა	2,4	3,3	0,7
საერთო სარგებლობის ყველა სახეობის ტრანსპორტის მგზავრობრუნვა	3,1	5,3	2,5
საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება	4	2,4	2,4
მუშამოსამსახურეთა რიცხვი	0,7	0,6	0,4
სახალხო მეურნეობის მოგება	7,5	6,8	5,0
ხელფასის ფონდი სახალხო მეურნეობაში	3,9	4,2	3,4
მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიურადი ხელფასი	3,2	3,5	3
კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება კოლმეურნეობების საზოგადოებრივ მეურნეობაში	4,0	7,3	2,5
მოსახლეობისადმი მომსახურება და შეღავათები მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან	4,9	6,2	4,8
რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით	2,6	2,0	2,0
სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა (ფასტმბრივი ფასებით)	3,4	—0,3	2,8
მათ შორის ალკოჰოლინი სასმელების რეალიზაციის მოცულობის გაუთვალისწინებლად	5,9	4,0	3,3
მოსახლეობის ფასიანი მომსახურება	9,5	4,3	8,1
საცხოვრებელი სახლების საერთო ფართობის ამოქმედება	7,0	9,3	8,3

წარმოებულმა **ეროვნულმა შემოსავალმა** შეადგინა დაახლოებით 600 მილიარდი მანეთი (ფაქტობრივი ფასებით). გეგმასთან შედარებით მისი ზრდის ნაკლები ტემპი გამოიწვია მატერიალური დანახარჯების დაზოგვის დავალებათა შეუსრულებლობამ, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდის ჩამორჩენამ, საგარეო ვაჭრობისაგან მიღებული შემოსავლის კლებამ და ალკოჰოლინი სასმელების გამოშვების შემცირებამ.

მილიარდ ეროვნული პროდუქტი, რომელიც ნაანგარიშევია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთოდოლოგიით და ახასიათებს ყველა საწარმოს, ორგანიზაციისა და მოსახლეობის შემოსავლის საერთო თანხას, როგორც საწარმოო, ისე არასაწარმოო სფეროში, აგრეთვე საამორტიზაციო ანარიცხები წინა წელთან შედარებით გაიზარდა 3,3 პროცენტით.

მრეწველობის პროდუქცია წინა წელთან შედარებით გაიზარდა 32 მილიარდი მანეთით და 870 მილიარდ მანეთს მიაღწია.

სოფლის მეურნეობის პროდუქცია მიღებულია 220,1 მილიარდი მანეთისა, რაც 18,8 მილიარდი მანეთით, ანუ 9,3 პროცენტით მეტია, ვიდრე საშუალოდ წელიწადში მეთერთმეტე ხუთწლედის მანძილზე.

გაიზარდა **მოგება** სახალხო მეურნეობაში. შემცირდა მრეწველობის პროდუქციის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების **თვითღირებულება.** მაგრამ ცალკეულმა უწყება-სამინისტროებმა ვერ უზრუნველყვეს თვითღირებულების შემცირების დავალებათა შესრულება.

მრეწველობის საწარმოო გაერთიანებისა და საწარმოების, საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების დაახლოებით მეოთხედმა ვერ შეასრულა გეგმა საფინანსო შედეგების მიხედვით. ზარალად სმრეწველო საწარმოთა წილმა შეადგინა დაახლოებით 13 პროცენტი.

საგარეო-სავაჭრო ბრუნვამ შეადგინა 128 მილიარდი მანეთი, აქედან ექსპორტმა — 67, იმპორტმა — 61 მილიარდი მანეთი. 1986 წელთან შედარებით საგარეო ვაჭრობის ფიზიკური მოცულობა გაიზარდა ერთი პროცენტით. მის დინამიკაზე არასახარბიელო გავლენას ახდენს მსოფლიო ფასების მიმდინარე შემცირება, რამაც 1987 წელს 3 პროცენტი შეადგინა. ამის შედეგად საგარეო ვაჭრობის მოცულობა მიმდინარე ფასების მიხედვით წლის განმავლობაში 2,2 პროცენტით შემცირდა.

უწყება-სამინისტროებმა, რომლებსაც მინიშნებული აქვთ მსოფლიო ბაზარზე უშუალო გასვლის უფლება, ექსპორტის საერთო მოცულობაში შეადგინეს წილი 12 პროცენტი, ხოლო იმპორტისაში — 28 პროცენტი.

წამყვანი ადგილი უკავია ვაჭრობას სოციალისტურ სახელმწიფოებთან, ძირითადად ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან, რომელთა წილმა შეადგინა 62 პროცენტი.

კაპიტალისტურ ქვეყნებთან ვაჭრობის მოცულობა შემცირდა უმთავრესად განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებიდან იმპორტის შეკვეცის გამო.

საბჭოთა კავშირი ეკონომიკურ და ტექნიკურ ხელშეწყობას უწევდა საზღვარგარეთის ქვეყნებს სმრეწველო საწარმოებისა და სხვაობიექტების მშენებლობაში, გაფართოებასა და ექსპლოატაციაში, გეოლოგიურ-სალაზვერვო სამუშაოთა განხორციელებაში, განათლებისა და კადროების განვითარებაში.

სსრ კავშირის უწყება-სამინისტროთა უმრავლესობამ გაზარდა საექსპორტო პროდუქციის მიწოდების მოცულობა.

მყარდებოდა უშუალო კავშირი სხვა ქვეყნების საწარმოებთან და ორგანიზაციებთან.

რეგისტრაციაშია გატარებული 23 ერთობლივი საწარმო და 14 საერთაშორისო გაერთიანება და ორგანიზაცია სსრ კავშირის ტერიტორიაზე საზღვარგარეთის ქვეყნების საწარმოებთან და ორგანიზაციებთან.

ხორციელდებოდა პროდუქციის ორმხრივი მიწოდება სსრ კავშირსა და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებს, იუგოსლავიას შორის წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების შეთანხმებათა მიხედვით.

II. საზოგადოებრივი ნარმოების ინტენსიფიკაცია

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი

მიმდინარეობდა კვლევა და მუშაობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრიორიტეტული მიმართულებებით.

გაიზარდა მეცნიერებისათვის განკუთვნილი ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტიდან, სამინისტროების, გაერთიანებებისა და საწარმოების სახსრებიდან.

წლის მანძილზე რეგისტრაციაშია გატარებული 17 აღმოჩენა, რომლებიც ასახავენ ქიმიის, ფიზიკის, მედიცინის, მექანიკისა და სხვა მეცნიერებების დარგის თვალსაჩინო მიღწევებს. შემჭნილია 3 ათასზე მეტი მანქანა-მოწყობილობის, აპარატის, ხელსაწყოსა და ავტომატიზაციის სამეცადინო ნიმუში, 322 ავტომატიზებული დაპროექტების სისტემა.

ეთვალთვალდა მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის პროგრესული ფორმები. სახალხო მეურნეობაში ფუნქციონირებს 500-მდე სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება, 23 დარგთშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსი, რომელთა ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა შეამციროს ახალი ტექნიკის შემუშავებისა და დანერგვის ვადები. მუშაობას შუქდება ახალგაზრდობის მეცნიერულ-ტექნიკური შემოქმედების 70-ზე მეტი სამეურნეოანგარიშიანი ცენტრი. მიმდინარეობდა მზადება სამეცნიერო-კვლევითი, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციების სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასაყვანად.

სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების რიცხვმა გადააჭარბა 1,5 მილიონ კაცს, მათგან თითქმის ნახევარი ტექნიკის მეცნიერებათა დარგია დასაქმებული. უმაღლეს სასწავლებლებში თავმოყრილია მეცნიერული პოტენციალის მესამედი.

კვლავინდებურად ჩამორჩება სამეცნიერო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციათა საცდელ-საექსპერიმენტო ბაზის განვითარება. არ არის უზრუნველყოფილი სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს მთელი რიგი ისეთი ობიექტების ამოქმედება.

არ არის საკმარისი იმ სიახლეთა ათვისების მასშტაბი, რომლებიც შეიქმნა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამის რეალიზაციის პროცესში. არ იცავენ ცალკეულ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ტექნიკის შემუშავების ხაგგამო ვადებს, რომლებიც დარგშორისი ხასიათის მიზნობრივი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამებით არის გათვალისწინებული. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების გეგმა არ შეუსრულებიათ სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს, სსრ კავშირის ჩარხსაშენებელი მრეწველობის სამინისტროს.

უმჯობესდებოდა სახალხო მეურნეობის დარგების საწარმოო ბაზრები.

ამოქმედდებულია 190,9 მილიარდი მანეთი ღირებულების ძირითადი ფონდები, მათ შორის 134,7 მილიარდი მანეთის საწარმოო ფონდები. ახლად ამოქმედებული საწარმოო ფონდების ხვედრითმა წილმა მათს საერთო მოცულობაში 1987 წლის დამლევისათვის შეადგინა 7,4 პროცენტი.

მოქმედ საწარმოთა ტექნიკურ განახლებასა და რეკონსტრუქციას მოხმარდა 43,5 მილიარდი მანეთი სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი, რაც 7 პროცენტით მეტია წინა წელთან შედარებით. ამ მიზნით გადაეხადა კაპიტალური დაბანდებანი ათვისებულია 103 პროცენტით. მათი საერთო მოცულობიდან ნახევარზე მეტი შეადგინა საწარმო-ორგანიზაციათა ფონდების სახსრებმა.

1987 წელს **მრეწველობაში** დაიდგა სხვადასხვა ტექნოლოგიური დანიშნულების 300 მოქნილი საწარმოო სისტემა, 16 ათასი რიცხვული პროგრამული მართვის ლითოსაჭრელი ჩარხი, 300 ათასზე მეტი როტორული და როტორულ-კონვეიერული ხაზი, 11 ათასი სამრეწველო რობოტი. კომპიუტერ მექანიზაციასა და ავტომატიზაციაზე გადაყვანილია 6 ათასი უბანი, საამქრო, წარმოება.

მანქანათმშენებლობის მაღალეფექტიანი პროდუქციის წარმოება გაიზარდა 10 პროცენტით და მეტად. გადიდდა პროგრესული მოწყობილობის, მათ შორის, რიცხვულ-პროგრამული მართვის სამქადილ-საწნეხი მანქანების, გამოშვება — 1,9-ჯერ, მანქანათმშენებლობისა და ლითონდამამუშავების როტორული და როტორულ-კონვეიერული ხაზებისა — 1,5-ჯერ. სამეცნიერო კვლევისათვის გათვალისწინებული გამოთვლითი ტექნიკის სამუალებებისა — 1,2-ჯერ, 16 ტონა ტვირთამწეობის ჰიდროვალკურამძრავიანი ამწეებისა — თითქმის 1,2-ჯერ.

ათვისებულია და დაწყებულია 4 ათასზე მეტი ახალი სახეობის პროდუქციის წარმოება. დამზადებულია 370 ტონამდე ტევადობის კომბინირებული გაკრეკის კონვერტერი, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება; დაწყებულია მექანიკურ-დამმუშავებელი და სამეცდელო-სატვიფრავი წარმოებისათვის განკუთვნილი ახალი მოქნილი საწარმოო მოდულების, ავტომატური ხაზების, 6 ტონა ტვირთამწეობის ზილ-4331 დიზელიანი ავტომობილის, ვაზ-2109 მეცრეკლასის წინაამძრავიანი ავტომობილის სერიული გამოშვება. გამოშვებულია კომბაინ „დონსტოროსის" დიდი სამრეწველო პარტია.

მიღებულია ახალ სახეობათა პოლიმერული მემბრანები აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების, ბიოტექნოლოგიის, მედიცინისათვის, მიკროპროცესორული და ელექტრონული ტექნიკისათვის საჭირო განსაკუთრებით ხალას ქიმიურ ნივთიერებათა წარმოებისათვის.

მანქანათმშენებლებმა კომპლექსმა მთლიანად გადააჭარბა მრეწველობის პროდუქციის განახლების დაგეგმილ ტემპს, რასაც ადასტურებს შემდეგი მონაცემები:

	სსრ კავშირში პირველად ათვისებული პროდუქციის ხვედრითი წილი სახალხო მეურნეობის პროდუქციის მოცულობაში (პროცენტობით)	
	1987 წლის გეგმა	ფაქტობრივად
სულ	7,6	9,0
სსრ კავშირის მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტრო	12,0	13,9
სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტრო	8,5	6,9
სსრ კავშირის ქიმიური მანქანათმშენებლობის სამინისტრო	14,4	15,1
სსრ კავშირის ჩარხსაშენებელი მრეწველობის სამინისტრო	7,0	8,9
სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტრო	6,8	7,1
სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტრო	6,0	6,6
სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრო	6,4	12,0
სსრ კავშირის საგზო მანქანათმშენებლობის სამინისტრო	5,0	5,6

შესრულებულია მექანიზებული კომპლექსებით ქვანახშირის მოპოვებისა და ფენების ნაგოობუფუგების გარდის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით ნავთობის მოპოვების გეგმა. ჭრილებში პროგრესული ღია წესით ქვანახშირის მოპოვების წილი საერთო მოპოვებაში შეადგენს 42,6 პროცენტს, ატმოური ელსადგურების მიერ ელექტროენერგიის წარმოებისა ელექტროენერგიის მთელ გამომუშავებაში — 11,2 პროცენტს.

ქანგბად-კონვერტერული და ელექტროფოლადის ხვედრითმა წილმა ფოლადის გამოდნობის მოცულობაში შეადგინა 47 პროცენტი. არ არის რეალიზებული უწყვეტი ხერხით ფოლადის ჩამოსხმის დაკალები. ამოქმედებულია 350 ათასი ტონა ნამზადის უწყვეტი ჩამოსხმის მანქანები, დაგეგმილი 1,3 მილიონი ტონის ნაცვლად.

გაიზარდა ცალკეულ ეფექტიან სახეობათა პროდუქციის, მათ შორის, სინთეზური ბოჭკოსა და ძაფის ხვედრითი წილი ქიმიური ბოჭკოსა და ძაფის წარმოების მოცულობაში — 59,6 პროცენტამდე, რადიალური კორსტრუქციის საავტომობილო სალტეებისა საავტომობილო სალტეების გამოშვებაში — 34,9 პროცენტამდე, ნაკლები მასაკეკადმის საგაზთო ქალალდისა საგაზთო ქალალდის საერთო წარმოებაში — 57,4 პროცენტამდე.

არის შემჭიეებები, როდესაც სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროსა და სსრ კავშირის ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში დიდხანს გრძელდება შესყიდული ლიეზნებიანი მაღალეფექტიანი პროდუქციის ათვისება.

აგროსამრეწველო კომპლექსში 1987 წელს ინტენსიური ტექნოლოგიების მიხედვით მოჰყავდათ მარცვლეული კულტურების 31 პროცენტი, შაქრის ჯარხლის 82 პროცენტი, მზესუმზირის 54 პროცენტი. ამ ფართობებზე მოსავლიანობა მეტია, ვიდრე საშუალოდ ქვეყანაში: მარცვლეული კულტურებისა — 38 პროცენტით, მზესუმზირისა — 16 პროცენტით. მიმდინარე ხუთწლედის ორი წლის მანძილზე ინტენსიური ტექნოლოგიებით მოსაყვანი საშუმდგომო კულტურების ნათესი გაიზარდა 7,7 მილიონ ჰექტარამდე, ანუ 2,4-ჯერ.

გაიზარდა მეორეული ნედლეულის მოხმარების საფუძველზე შეუშავებული ტექნოლოგიების გამოყენების მოცულობა, მათ შორის, სხვადასხვა ფორმის მეცნარეული საქმელი ცილის წარმოება ხეთოვანი კულტურების თესლის გადამუშავების, მოხდილი რძის, დოსა და რძის შრატის სამრეწველო გადამუშავების პროდუქტებისაგან.

მშენებლობაში შემდგომი გავრცელება პოვა მონოლითური რკინაბეტონისაგან ნაგებობათა მშენებლობის პროგრესულმა ხერხებმა, მოწყობილობისა და კონსტრუქციების დამონტაჟების კომპლექსურ-ბლოკურმა მეთოდმა.

იზრდებოდა მოქნილკავშირიანი და ეფექტიანი მასალების თბოიზოლაციანი გარე კედლების რკინაბეტონის სამშრიანი პანელების, მსუბუქი ლითონკონსტრუქციებისაგან ასაწყობი შენობებისა (მოდულები) გამოშვება. ფართოდდება ბეტონის ნაზავების სუპერპლასტიფიკატორთა გამოყენება, რაც ზოგავს ცემენტს.

არ სრულდება ცალკეულ სახეობათა პროდუქციის წარმოების გეგმები, რომლებიც ზრდიან შენებლობის ინდუსტრიალიზაციას, ეფექტიანობას და ხარისხს.

ნელა ხორციელდება ტრანსპორტის გადაყვანა თანამედროვე ტექნიკურ საშუალებებზე. ელექტრული წევის ხვედრითმა წილმა რკინიგზის ტრანსპორტის საერთო ტვირთბრუნვაში წინა წელთან შედარებით 0,9 პუნქტით მოიმატა და 62,4 პროცენტი შეადგინა. გაბსათბობიანი ავტომობილების წილი საავტომობილო ტრანსპორტის საერთო ტვირთბრუნვაში 3 პროცენტს არ აღემატება.

პროდუქციის ხარისხი

სახელმწიფო მიღებამ გააძლიერა მომთხოვნელობა ტექნოლოგიური დისციპლინის, დაცვისა და პროდუქციის ხარისხისადმი. ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის მეუსაბამობის გამო მხოლოდ დახვეწისა და ხელახალი წარდგენის შემდეგ არის მიღებული 13 მილიარდი მანეთის პროდუქცია. საბოლოოდ არის დაწუნებული 53 მილიონი მანეთის პროდუქცია.

მრეწველობის საწარმოებმა და გაერთიანებებმა ვერ შეასრულეს ხარისხის უმაღლესი კატეგორიის გამოშვების გეგმა.

სამრეწველო საწარმოები კვლავინდებურად უგზავნიდნენ ვაჭრობას მნიშვნელოვანი რაოდენობის არადამაკმაყოფილებელი ხარისხის საწარმს.

მოკავშირე რესპუბლიკათა ვაჭრობის სამინისტროების სახითოებო ორგანიზაციებმა წლის განმავლობაში დაიწუნეს შეკერილი, ტრიკოტაჟის ნაწარმისა და ფეხსაცმლის 7-9 პროცენტი.

(გაგრძელება 3ე-ს 3ე.).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

ამხ. ე. ა. შევარდნაძის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე გაწეული დიდი ღვაწლისათვის და დამსახურების სამოც წლოვან დაკავშირებით დაჯილდოვდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ამხ. ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1988 წლის 23 იანვარი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

მიკრორაიონების საბჭოები: ვიმუშაოთ გარდაქმნის სულისკვეთებით

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარების შესახებ პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების მითითებათა მიხედვით მიკრორაიონების საბჭოების, როგორც მოქალაქეთა საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენრნი თვითმმართველობის ორგანოების, საქმიანობის სრულყოფის საკითხი.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ მიკრორაიონების საბჭოები უკანასკნელი წლების მანძილზე გამდიდრდნენ ახალი გამოცდილებით, უფრო მიზანდასახულად ეწყობენ ხელს საზოგადოებრივი თვითმმართველობის განვითარებასა-გაფართოებასა და საცხოვრებელ ადგილს ადამიანთა აღზრდის გაუყჯობესებას. მიკრორაიონების საბჭოების ინიციატივით წყდება ბევრი სოციალური საკითხი, რომლებიც ეხება მოსახლეობის სატრანსპორტო, სამედიცინო, საყოფო საყოფაცხოვრებო, კომუნალური მომსახურების გაუმჯობესებას, ეზოების, ქუჩების, სკვერების კეთილმოწყობასა და გამწვანებას.

ქალაქ თბილისის კიროვის რაიონის, ბარათაშვილის, საბურთალოს, ლენინის, ოქტომბრის, ვაკის, ფოთის, ბათუმის, ცხინვალის, ქუთაისის, რუსთავის, გორის, ფოთის, ჭიათურისა და ზუგდიდის საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები. ჯერ კიდევ არ უწევენ სათანადო დახმარებასა და მხარდაჭერას მიკრორაიონების საბჭოებს მათ წინაშე დასმული საკითხების გადაწყვეტაში.

თავის მხრივ მიკრორაიონების საბჭოებს ვერ მიუღწევიათ თავიანთ ტერიტორიაზე მდებარე ყველა იდეოლოგიური დაწესებულების საკითხო თანამშრომლობისათვის, მათი მეცადინეობის ზუსტი კოორდინაციისათვის. ამის შედეგად მთელ რიგ მიკრორაიონებში აღმზრდელობითი მუშაობა არ არის მიზანმიმართული, აქვს ყმაწვილური ხასიათი, ზოგჯერ იგი მიშველებულია თვითდინებაზე.

მიკრორაიონების საბჭოებმა მეტი ყურადღება უნდა დუთმონ სამართალდარღვევების, განსაკუთრებით არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში მასების გაკტიურების საკითხს.

მიკრორაიონების საბჭოების ნაყოფიერი საქმიანობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მათს უზრუნველყოფას სათავსებით, საჭიროო ინვენტარითა და მოწყობილობებით, მაგრამ ადგილობრივი საბჭოების ყველა აღმასკომი ჯერ კიდევ რიდი ინენს შესაბამის დაინტერესებას ამ საქმეში. მუშაობის რიგიანი პირობები არა აქვთ ქალაქების თბილისის, ბათუმის, სოხუმის, რუსთავის, მთელი რიგი რაიონების მიკრორაიონების საბჭოებს.

მიღებულ დადგენილებაში მიკრორაიონების საბჭოებს წინადადება მიეცათ ფართოდ დაეყრდნონ საზოგადოებრივ აზრს, აქტიურ, გამოიყენონ მოსახლეობის მოსასმენრების. სფეროს დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, ქუჩის, სახლის კომიტეტების, ქალთა საბჭოების შესაძლებლობები და მიაღწიონ კომპლექსურ მიდგომას მიკრორაიონების ცხოვრების სხვადასხვა მხარისადმი. მათი ვალია ქმედითად ეხმარებოდნენ ადამიანებს ადგილებზე პრობლემების გადაჭრაში.

რესპუბლიკის სამინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საქალაქო საბჭოების აღმასკომებს უკეთესად ეზრუნონ იმაზე, რომ სუსტად მუშაობენ რესპუბლიკის მსგავი ქალაქების მიკრორაიონებში საცხოვრებელი სახლებისა და შენობების მიმდინარე რემონტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, კომუნალური უწესესობის აღმოფხვრისა და ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის მიკრორაიონების საბჭოების რეკომენდაციებით.

საქართველოს კომპარტიის თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, ქუთაისის, რუსთავის, გორის, ფოთის, ჭიათურისა და ზუგდიდის საქალაქო კომიტეტებს, შესაბამისი საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს დაეკალთ მეტი ყურადღება დაუთმონ მიკრორაიონების საბჭოების საქმიანობას. უნდა გაბარდონ მათი ადგილი და ავტორიტეტი, უზრუნველყონ, რომ ისინი უფრო ხშირად ახორციელებდნენ თავიანთ უფლებამოსილებებს, რათა მიკრორაიონების საბჭოს საქმიანობა მეტად შეესაბამებოდეს მომწიფებულ საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს, გარდაქმნის სულისკვეთებასა და მოთხოვნებს, საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველმხრივ დემოკრატიზაციას.

(საკინძორაზი)

რადიკალური რეფორმის გზებით

(გაგრძელება)

არაერთგზის იქნა დაწუნებული დიდძალი პროდუქცია, რომელსაც უშვებენ ბაქოს № 2 ფეხსაცმლის ფაბრიკა, ლენინაკანის ტრიკოტაჟის ფაბრიკა, ცხინვალის ტრიკოტაჟის საცვლის ფაბრიკა, ბელცისა და დუბოსარის სამკერვალო ფაბრიკები, ქუთაისის კიროვის სახელობის, ბაქოს ბავშვის ტანსაცმლისა და ლენინაკანის ჩკალოვის სახელობის საწარმოო სამკერვალო გაერთიანებანი.

მნიშვნელოვანი მოცულობის დაბალხარისხოვან პროდუქციას გზავნიან სასოფლო-სამეურნეო საწარმოები. 1987 წელს სავაჭრო ქსელში შემოვიდა 10-17 პროცენტი უსტანდარტო და წუნდებული კარტოფილი, ხილი და კენკრა, კომბოსტო, ბალჩეული, თავიანი ხახვი, 26 პროცენტი პამიდორი, 29 პროცენტი ყურძენი. მსუბუქი მრეწველობისათვის განკუთვნილ მიწოდებაში დიდია მდარეხარისხოვანი ნედლეულის (ბამბის, სელის, ხამი აბრეშუმის, მატყლისა და სხვათა წილი.

საწარმოო პოტენციალის გამოყენება

გრძელდებოდა მუშაობის მრავალცვლიან რეჟიმზე გადასვლა. მუშაობის ცვლიანობის ზრდის შედეგად განთავისუფლებულ საწარმოო ფართობებს იყენებდნენ ახალი პროგრესული მოწყობილობის დადგმის, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდებისათვის.

გასულ წელს არ მომხდარა გაუმჯობესება ახლად ამოქმედებული და რეკონსტრუირებული სიმძლავრეების საწარმოო პოტენციალის გამოყენებაში. ამოქმედებული ობიექტების ორი მესამედი კვლავინდებურად ჩამორჩება საპროექტო სიმძლავრეთა ათვისების მხრივ. ყოველ მეორეში — დროულად ვერ აღწევენ შრომის ნაყოფიერების საპროექტო დონეს. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე აშენებული და რეკონსტრუირებული უმნიშვნელოვანესი ობიექტების სიმძლავრენი საშუალოდ მხოლოდ 81 პროცენტით არის დატვირთული. არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ახალ სიმძლავრეთა ათვისება ამიერკავკასიის და მოლდავეთის სს რესპუბლიკის საწარმოებში, სადაც ათვისების საშუალო დონე არ აღემატება 60 პროცენტს, შუა აზიასა და ყაზახეთის სს რესპუბლიკაში შესაბამისად 74-75 პროცენტს.

1987 წლის 1 დეკემბრისათვის მეოთხედითაც კი არ იყო ათვისებული 1986 წელს ამოქმედებული სიმძლავრენი სსრ კავშირის ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტროს გაერთიანება „ჩიმკენტსალტეში", სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს სომხეთის სსრ ჩარენცავანის ავტოსატვირთელების ქარხანაში, უზბეკეთის სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მანგიტის სართავ-საქსოვ ფაბრიკაში, სსრ კავშირის სამედიცინო-ბიოლოგიური მრეწველობის სამინისტროს კურსკის ქიმიურ-ფარმაცევტულ ქარხანაში, სსრ კავშირის აღმოსავლეთის მშენებლობის სამინისტროს ამურის კომსომოლსკის № 4 რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხანაში.

სიმძლავრეთა ათვისება-გამოყენებაში დაშვებული ჩამორჩენის შედეგად მარტო 1987 წელს გამოკვლეულ ობიექტებში უკმარმიღებულია 1,3 მილიარდ მანეთისაზე მეტი პროდუქცია.

რესურსდაზოგვა

სახალხო მეურნეობაში დაზოგილია 16 მილიონ ტონაზე მეტი სათბობ-ენერგეტიკული რესურსები (პირობითი გაანგარიშებით), 2,1 მილიონი ტონა შავი ლითონების ნაგლინი, 8 მილიონი კუბური მეტრი ხე-ტყის მასალა, გამოყენებულია დაახლოებით 145 მილიონი გიგაკალორია მეორეული სითბური რესურსები. შესრულებულია სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეკონომიის დაწესებული დავალებანი. ამ რესურსებზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების მატება 43 პროცენტით უზრუნველყოფილია ეკონომიის ხარჯზე, ხოლო შავი ლითონების ნაგლინზე მანქანათსაშენებელი კომპლექსის მოთხოვნილების მატება — თითქმის მთლიანად. ამასთანავე ვერ შეასრულეს სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ხარჯის ნორმების შემცირების დავალებანი სსრ კავშირის მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის ჩარხსაშენებელი მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის საგზაო მანქანათმშენებლობის სამინისტროს საწარმოებმა; შავი ლითონის ნაგლინისა — სსრ კავშირის ქიმიური მანქანათმშენებლობის, სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა.

გაიზარდა მაკულატურის, გაცვეთილი სალტეების, ფოსფოთაბაშირისა და სხვა სახეობათა მეორეული ნედლეულის გამოყენება სახალხო მეურნეობაში.

შრომითი რესურსების გამოყენება

სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა საშუალო წლიურმა რიცხვმა შეადგინა 131,3 მილიონი, მომუშავეთა 30 პროცენტზე მეტს შეადგენენ ოცდაათ წლამდე ასაკის ახალგაზრდები, 7 პროცენტს — საპენსიო ასაკისანი. მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ასაკი 38 წელია. მომუშავეთა ნახევარზე მეტს აქვს მოცემულ საწარმოში მუშაობის სულ ცოტა 5 წლის სტაჟი.

ფართოვდება წარმოების მართვის დემოკრატიზაციის პროცესი. მრეწველობაში შრომითმა კოლექტივებმა ხელმძღვანელ თანამდებობებზე აირჩიეს 30 ათასზე მეტი მუშაკი, მშენებლობაში — დაახლოებით 6 ათასი.

განვითარდა დარგთშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსები, საინჟინრო ცენტრები, სახელმწიფო საწარმოო გაერთიანებანი, აგროსამრეწველო კომბინატები (ფირმები). დაჩქარებული ტემპით ვითარდება კოოპერაციული და ინდივიდუალური საქმიანობა. კოოპერატივებში მომუშავეთა რიცხვმა წლის ბოლოს შეადგინა დაახლოებით 150 ათასი (წლის დამდეგის 15 ათასის ნაცვლად).

მუშახელის მთელი მატება გაიგზავნა მოსახლეობის მომსახურების სფეროში. საწარმოო დარგებში (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი და სხვა) მოხდა მომუშავეთა აბსოლუტური გამოთავისუფლება საწარმო-ორგანიზაციებიდან.

საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე უზრუნველყოფილია 2,4 მილიონი კაცის შრომის ეკონომია.

ამასთანავე სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში გაიზარდა სამუშაო დროის დანაკარგები, შრომელთა მოცდენა ძირითადი საქმიანობისაგან, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე.

შემდგომი გავრცელება პოვა შრომის ბრიგადულმა ორგანიზაციამ. ამჟამად ამ ფორმით მოცულია მრეწველობასა და მშენებლობაში ძირითადი საქმიანობის მუშათა 80 პროცენტი. მაგრამ მისი ყველაზე ეფექტიანი — სამეურნეოანგარიშიანი — ფორმების ხვედრითი წილი ჯერ კიდევ მცირეა: მრეწველობაში — ბრიგადების საერთო რიცხვის მესამედი, მშენებლობაში — დაახლოებით ნახევარი.

სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტთა რიცხვმა შეადგინა 35 მილიონი. პროფესიულ-ტექნიკურმა სასწავლებლებმა მოამზადეს 2,6 მილიონი კვალიფიციური მუშა.

უშუალოდ წარმოებაში ახალ და მეორე პროფესიებს დაეუფლა, აგრეთვე, ხელახლა მომზადდა დაახლოებით 7 მილიონი კაცი.

სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ხორციელდებოდა ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის ღონისძიებები.

განვლილ წელს სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში მუშაობდა მრეწველობის 2,5 ათასი გაერთიანება და საწარმო. სახელშეკრულებო ვალდებულებების გათვალისწინებით პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულებამ ამ საწარმოებში შეადგინა 98,7 პროცენტი და მეტი იყო, ვიდრე მთლიანად მრეწველობაში. თვითდაფინანსების პირობებში მომუშავე საწარმოები უფრო რაციონალურად იყენებდნენ შრომით რესურსებს და უზრუნველყოფდნენ შრომის ნაყოფიერების ზრდას მომუშავეთა რიცხვის შემცირებასთან ერთად. მთლიანად ამ საწარმოებში უფრო სწრაფი ტემპით კლებულობს წარმოების ხარჯები.

ამასთან ერთად ვერ მოხერხდა მეურნეობრიობის ახალი მექანიზმის უპირატესობის სრულად რეალიზება. ახალ პირობებში მომუშავე ბევრმა საწარმომ ვერ შეუსრულა მომხმარებლებს ვალდებულებები სრული მოცულობით. მთლიანად სრული სამეურნეო ანგარიშის პირობებში მომუშავე სამრეწველო საწარმოებს დააკლდათ დაგროვების დაახლოებით 400 მილიონი მანეთი. ვერ შესრულდა ძირითადი ფონდების ამოქმედების დავალება. კვლავ მოუგვარებელი რჩება მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა.

მიმდინარეობს მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის შემდგომი სრულყოფა ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსში, წარმოების ეფექტიანობის გადიდების, მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებისა და მართვის დემოკრატიული ფორმების შემდგომი გაფართოების მიზნით აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოებმა და ორგანიზაციებმა შექმნეს 49 აგროსამრეწველო კომბინატი (კრასნოდარის მხარის „ყუბანი", მოსკოვის ოლქის „რამენსკი" და სხვები), 14 აგროფირმა („ადაჟი" ლატვიის სსრ რესპუბლიკაში, „პრუტი" უკრაინის სს რესპუბლიკაში, „პანდივერე" ესტონეთის სს რესპუბლიკაში და სხვები) და 19 აგროსამრეწველო გაერთიანება (ტულის ოლქის „ნოვომოსკოვსკი", კრასნოდარის მხარის „უსტ-ლაბინსკი", მორდვეთის ასს რესპუბლიკის „სარანსკი" და სხვები). ინერგება კოლექტიური იჯარა და შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების სხვა პროგრესული ფორმები, სრულდება მუშაობა აგროსამრეწველო კომპლექსის მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების გადასაყვანად სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე.

სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებში მიმდინარეობდა მზადება სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში სამუშაოდ; მთავრდება სამშენებლო კომპლექსის სამინისტროებისა და უწყებების ორგანიზაციათა გადაყვანა კოლექტიურ იჯარაზე. შეიქმნა 133 საპროექტო-სამრეწველო-სამშენებლო გაერთიანება.

სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში 1987 წელს მუშაობდნენ სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროს საზღვაო სანაოსნოები, ბელორუსიის სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს საწარმოები.

III. მატერიალური წარმოების განვითარება

მრეწველობა

პროდუქციის რეალიზაციის გეგმა მიწოდებათა გათვალისწინებით შესრულდა 98,3 პროცენტით. სახელშეკრულებო დისციპლინა დაარღვია გაერთიანებებისა და საწარმოების 23 პროცენტმა (1986 წელს — 27 პროცენტმა).

სამრეწველო პროდუქციის წარმოება გაიზარდა 3,8 პროცენტით. **შრომის ნაყოფიერების** მატებამ შეადგინა 4,1 პროცენტი.

გაიზარდა მოგება, შემცირდა სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულება.

მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებების, მოგების გეგმის შესრულებას, შრომის ნაყოფიერებისა და პროდუქციის მოცულობის მატების ტემპს სახალხო სამეურნეო კომპლექსების მიხედვით 1987 წელს ახასიათებს შემდეგი მონაცემები (პროცენტობით):

სახალხო-სამეურნეო კომპლექსების მიხედვით 1987 წელს ახასიათებს შემდეგი მონაცემები (პროცენტებით):

	პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ხარისხი	იმ საწარმოთა წილი, რომლებმაც ვერ შეასრულეს სახელშეკრულებო ვალდებულებები	მიწოდების დაუკმაყოფილებელი მოცულობა, მილიონი მანეთი	მოგების გეგმის შესრულება (იანვარ-ნოემბერი)	მატების ფაქტობრივი ტემპი: შრომის ნაყოფიერებისა	მატების ფაქტობრივი ტემპი: პროდუქციის მოცულობისა
სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი	99,1	31	450	107	4,7	3,2
მეტალურგიული კომპლექსი	98,9	34	894	101	3,5	1,9
მანქანათსაშენებელი კომპლექსი	96,2	56	3726	95	4,1	4,6
ქიმიურ-სატყეო კომპლექსი	98,0	47	1986	97	4,5	3,2
აგროსამრეწველო კომპლექსი	99,0	17	1493	96	3,9	3,5
სოციალური კომპლექსი (სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო)	99,0	24	986	97	4,2	1,4
სამშენებლო კომპლექსი (სსრ კავშირის საშენ მასალათა სამინისტრო)	98,5	30	197	102	5,1	3,2

1987 წელს მრეწველობის მუშაობის მონაცემები მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით (საკავშირო დაქვემდებარების მრეწველობის ჩათვლით) მოყვანილია ქვემოთ (პროცენტობით):

	პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ხარისხი	იმ საწარმოთა წილი, რომლებმაც ვერ შეასრულეს სახელშეკრულებო ვალდებულებები	პროდუქციის თვითღირებულების შემცირება (გადიდება) პროცენტობით წინა წელთან შედარებით (იანვარ-ნოემბერი)	მატების ფაქტობრივი ტემპი: შრომის ნაყოფიერებისა	მატების ფაქტობრივი ტემპი: პროდუქციის მოცულობისა
რსფსრ	98,3	26	0,2	4,4	3,5
უკრაინის სსრ	98,0	21	+0,02	4,5	3,8
ბელორუსიის სსრ	99,4	8	0,6	6,4	6,5
უზბეკეთის სსრ	97,7	26	0,4	0,4	2,3
ყაზახეთის სსრ	98,2	20	0,4	4,1	3,9
საქართველოს სსრ	98,2	17	+0,4	2,2	2,4
აზერბაიჯანის სსრ	98,3	23	+0,2	4,4	4,8
ლიტვის სსრ	99,6	4	0,5	4,3	4,6
მოლდავეთის სსრ	97,5	27	0,3	5,3	5,1
ლატვიის სსრ	98,5	16	0,6	5,0	4,3
ყირგიზეთის სსრ	98,3	19	0,1	0,4	1,0
ტაჯიკეთის სსრ	98,3	19	0,8	3,4	5,0
სომხეთის სსრ	97,4	21	0,01	3,4	4,8
თურქმენეთის სსრ	99,2	13	0,9	2,1	3,0
ესტონეთის სსრ	99,6	14	0,6	4,2	3,0

ცალკეულ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების ძირითადი მაჩვენებლები სამრეწველო კომპლექსების მიხედვით მოყვანილია ქვემოთ.

სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი

	წარმოებულია 1987 წელს	წლიური გეგმის შესრულების პროცენტი	1987 წელი პროცენტობით 1986 წელთან შედარებით
ელექტროენერგია, მილიარდი კილოვატსაათი	1665	100	104
ნავთობი (გაზის კონდენსატის ჩათვლით), მილიონი ტონა	624	101	102
გაზი მილიარდი კუბური მეტრი	727	102	106
ქვანახშირი, მილიონი ტონა	760	102	101

სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის საწარმოებმა დადგენილი დავალების დამატებით მოიპოვეს 16 მილიონი ტონა ქვანახშირი, 7 მილიონზე მეტი ტონა ნავთობი, გაზის კონდენსატის ჩათვლით, და 15 მილიარდი კუბური მეტრი გაზი.

ელექტროენერგიის წარმოება გაიზარდა 66 მილიარდი კილოვატსაათით. მატების დაახლოებით ნახევარი უზრუნველყოფილია ატომურ და ჰიდროელექტროსადგურებში გამომუშავების გადიდების ხარჯზე.

მეტალურგიული კომპლექსი

	წარმოებულია 1987 წელს	წლიური გეგმის შესრულების პროცენტი	1987 წელი პროცენტობით 1986 წელთან შედარებით
ფოლადი, მილიონი ტონა	162	100,8	100,8
შავი ლითონების ნაგლინი (მზა), მილიონი ტონა	114	100,7	102
ფოლადის მილები, მილიონი ტონა	20,3	100	103
რკინის მადანი, მილიონი ტონა	251	102	100,4

მეტალურგიული კომპლექსის საწარმოებმა შეასრულეს შავი და ფერადი მეტალურგიის ძირითად სახეობათა პროდუქციის წარმოების გეგმა.

პირველად ბოლო წლებში მოხერხდა ნაგლინის, მილებისა და მეტიზების წარმოების გაზრდა ისე, რომ პრაქტიკულად არ გაზრდილა რკინის მადნის მოპოვება, თუჯისა და კოქსის წარმოება.

ამასთან ერთად ვერ უზრუნველყვეს პროდუქციის გათვალისწინებული სორტამენტით, უწინარეს ყოვლისა, მისი დიდად ეფექტიანი სახეობების გამოშვება. 25 სახეობის ასეთი პროდუქციიდან წლიური გეგმა მხოლოდ 6 სახეობის მიხედვით შესრულდა. სისტემატურად არ სრულდებოდა ელექტრო, ფოლადის, უწყვეტი სხმის მანქანებიდან სხმული ნამზადის, ცივადნაგლინი ფურცლის, ფურცლოვანი უჟანგავი ცივადნაგლინი ფოლადის სორტული ცივწელილი ფოლადის, სანავთობო სორტამენტის ზეგამძლე მილებისა და მთელი რიგი სხვა პროდუქციის წარმოების საგეგმო დავალებები.

გათვალისწინებული სორტამენტით გეგმის შეუსრულებლობის გამო ვერ შესრულდა სახელშეკრულებო ვალდებულებები. მიწოდების გათვალისწინებით პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულებამ 98,4 პროცენტი შეადგინა.

მანქანათსაშენებელი კომპლექსი

	წარმოებულია 1987 წელს	წლიური გეგმის შესრულების პროცენტი	1987 წელი პროცენტობით 1986 წელთან შედარებით
ტურბინები, მილიონი კილოვატი	22,5	82	108
ტურბინების გენერატორები, მილიონი კილოვატი	12,8	68	86
დიდი ელექტრომანქანები ათასი ცალი	25,7	91	99
ცვლადი დენის ელექტროძრავები, მილიონი კილოვატი	54,6	92	98
მცირე სიმძლავრის ელექტროძრავები პროგრამული მართვის ჩარხებისათვის (ბიჯიანი ელექტროძრავები), ათასი ცალი	48,6	99,2	109
ლითონსაჭრელი ჩარხები, მილიარდი მანეთი	2,8	97	97
მათ შორის რიცხვული პროგრამული მართვისა	1,3	98	99,5
სამჭედლო-საწნეხი მანქანები, მილიონი მანეთი	645	83	94
სამრეწველო რობოტები, ათასი ცალი	14,4	93	92
ხელსაწყოები, ავტომატიზაციის საშუალებები და მათი სათადარიგო ნაწილები, მილიარდი მანეთი	5,0	98	104
სამედიცინო ტექნიკა და მისი სათადარიგო ნაწილები, მილიონი მანეთი	892	99	105
გამოთვლითი ტექნიკის საშუალებები და მათი სათადარიგო ნაწილები, მილიარდი მანეთი	5,3	103	111
ყველა სახეობის ტექნოლოგიური მოწყობილობის პროგრამული მართვის დანადგარები, ათასი ცალი	26,6	111	111
ნავთობაპარატურა, მილიონი მანეთი	241	87	98
ქიმიური მოწყობილობა და მისი სათადარიგო ნაწილები, მილიონი მანეთი	941	85	97
ტექნოლოგიური მოწყობილობა და მისი სათადარიგო ნაწილები მსუბუქი და კვების მრეწველობისათვის, მილიარდი მანეთი	1,8	89	97
ტრაქტორები, მილიონი ცხენის ძალა	52,1	94	96
სასოფლო-სამეურნეო მანქანები, მილიარდი მანეთი	4,2	100,5	105
კარტოფილასაღები კომბაინები, ათასი ცალი	8,8	100,1	114
მანქანები და მოწყობილობა მეცხოველეობისა და საკვებწარმოებისათვის, მილიარდი მანეთი	2,9	95	99,7
საკვებასაღები კომბაინები, ათასი ცალი	41,6	96	103
ექსკავატორები, ათასი ცალი	41,5	96	97

მანქანათსაშენებელ კომპლექსში ხორციელდებოდა პროდუქციის სტრუქტურისა და ასორტიმენტის სტრუქტურის, დიდადეფექტიანი ნაწარმის ათვისებისა და გამოშვების გაფართოების ღონისძიებები. ამ ნაწარმის გამოშვების გადიდების ხარჯზე მიღებულია კომპლექსის პროდუქციის საერთო მატების დაახლოებით 30 პროცენტი.

ამასთან ერთად პროდუქციის მატებამ მთლიანად კომპლექსში შეადგინა 4,6 პროცენტი, რაც 1,3-ჯერ ნაკლებია წლიური გეგმით გათვალისწინებულზე. ვერ შესრულდა უმნიშვნელოვანეს სახეობათა მანქანათსაშენებელი პროდუქციის წარმოების დავალებები. სსრ კავშირის ჩარხსაშენებელი მრეწველობის სამინისტროში მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა გეგმას ლითონსაჭრელი ჩარხების, სამჭედლო-საწნეხი მანქანების გამოშვება, სსრ კავშირის ელექტრო-ტექნიკური მრეწველობის სამინისტროში — დიდი ელექტრომანქანების, ცვლადი დენის ელექტროძრავების, სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტროში — საკისრების გამოშვება. სსრ კავშირის ქიმიური მანქანათმშენებლობის სამინისტრომ დაუშვა დიდი დავალიანება ქიმიური მოწყობილობის წარმოებაში, სსრ კავშირის მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტრომ — საგლინავი მოწყობილობის; ნამზადების უწყვეტი სხმის მანქანების წარმოებაში. დაგეგმილი მოცულობით ვერ იქნა უზრუნველყოფილი მოწყობილობის გამოშვება მსუბუქი და კვების მრეწველობის, რკინიგზის ტრანსპორტისათვის. სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტრომ ვერ შეასრულა სამედიცინო ტექნიკისა და მისი სათადარიგო ნაწილების გამოშვების დავალება.

პროგრესულ დიდადეფექტიან სახეობათა პროდუქციის წარმოებაში ვერ შესრულდა წლისთვის დადგენილი დავალებების საერთო რიცხვის ორ მესამედზე მეტი.

ქიმიურ-სატყეო კომპლექსი

	წარმოებულია 1987 წელს	წლიური გეგმის შესრულების პროცენტი	1987 წელი პროცენტობით 1986 წელთან შედარებით
მინერალური სასუქი (მასაზრდოებელ ნივთიერებათა 100 პროცენტზე გადაანგარიშებით), მილიონი ტონა	36,3	100,5	105
მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებები (მოქმედი ნივთიერების მიხედვით, 100 პროცენტზე გადაანგარიშებით), ათასი ტონა	327	100,2	98
გოგირდმჟავა, მილიონი ტონა	28,5	99	102
კაუსტიკური სოდა, მილიონი ტონა	3,3	97	102
ქიმიური ბოჭკო და ძაფი, მილიონი ტონა	1,5	100,3	103
სინთეზური ფისები და პლასტიკური მასები, მილიონი ტონა	5,5	97	103
ავტომობილების, ავტობუსების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, მოტოციკლებისა და მოტოროლერების სალტეები, მილიონი ცალი	67,8	100,1	103
სამკურნალწამლო საშუალებები, მილიარდი მანეთი	3,3	101	107
სამასალე მერქანი (კოლმეურნეობათა მიერ ხე-ტყის დამზადების გარეშე), მილიონი ფესტმეტრი	295	97	100,2
ქაღალდი, მილიონი ტონა	6,2	99,7	100,6
აქედან გაზეთისა, მილიარდი კვადრატული მეტრი	35,8	100,7	104

გაიზარდა მთელ რიგ სახეობათა პროგრესული დიდადეფექტიანი პროდუქციის — პოლიპროპილენის, პოლისტიროლის, მინაპლასტიკის და მისი ნაწარმის, სინთეზური ბოჭკოსა და ძაფის, რადიალური კონსტრუქციის სალტეების, დიდი ფორმატის ფანერის, სატარო მუყაოს გამოშვება.

მიღწეულ ვერ იქნა სინთეზური თვისებისა და პლასტმასის მასების, ნედლეული ქიმიური პროდუქტების (სინთეზური ამიაკის, გოგირდმჟავის, კაუსტიკური სოდის) წარმოების დაგეგმილი მოცულობა.

დაშვებულია ჩამორჩენა სამასალე მერქნისა და დახერხილი მასალის, აგრეთვე ცემენტ-ბურბუშელისა და მერქან-ბურბუშელის ფილების წარმოების საგეგმო დავალებათა შესრულებაში, რომლებიც ეფექტიანად ცვლიან საქმიან სორტამენტებს.

ქიმიურ-სატყეო კომპლექსის საწარმოთა მიერ მთელ რიგ სახეობათა პროდუქციის წარმოების გეგმის შეუსრულებლობა უარყოფით გავლენას ახდენდა სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებაზე. კერძოდ, სსრ კავშირის ხე-ტყისა და ცელულოზა-ქაღალდის სამინისტროს საწარმოებმა ვალდებულებებს დააკლეს 870 მილიონი მანეთის პროდუქცია, სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა 469 მილიონი მანეთის პროდუქცია, მსუბუქი მრეწველობის საწარმოებმა გეგმას დააკლეს 9,3 ათასი ტონა ქიმიური ბოჭკო და ძაფი.

სამშენებლო კომპლექსის მრეწველობა

	წარმოებულია 1987 წელს	წლიური გეგმის შესრულების პროცენტი	1987 წელი პროცენტობით 1986 წელთან შედარებით
ცემენტი — მილიონი ტონა	137	100,7	102
ასაწყობი რკინა-ბეტონის კონსტრუქციები და ნაკეთობები, მილიონი კუბური მეტრი	148	99,1	104
ასბესტცემენტის ფურცლები (შიფერი), მილიარდი პირობითი ფილა	8,8	100,1	102
მილები და ასბესტცემენტის მილები და ქუროები, ათასი კილომეტრი პირობითი მილი	80,9	100,1	102
რბილი სახურავი მასალა და იზოლი, მილიარდი კვადრატული მეტრი	2,0	99,1	99
ფანჯრის მინა, მილიონი კვადრატული მეტრი	252	97	98

სამშენებლო კომპლექსის მრეწველობამ ვერ უზრუნველყო სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება მთელ რიგ საშენ მასალებზე. მიღწეული არ არის ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და ნაკეთობების, მათ შორის დიდპანელიანი სახლთმშენებლობისათვის საჭირო პანელებისა და სხვა კონსტრუქციების, სამშენებლო აგურის, რბილი სახურავი მასალისა და იზოლის, ფანჯრის მინის წარმოების დაგეგმილი დონე. ვერ შესრულდა ცალკეულ სახეობათა ეფექტიანი საშენი მასალების, კერძოდ, ექსტრუზიული ასბესტცემენტის პანელების, მსუბუქი ლითონის კონსტრუქციების ასაწყობი შენობების (მოდულების) გამოშვების დავალებანი.

სახალხო მოხმარების ძირითადი არასასურსათო **საქონლის** წარმოების გეგმის შესრულებას ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	წარმოებულია 1987 წელს	წლიური გეგმის შესრულების პროცენტი	1987 წელი პროცენტობით 1986 წელთან შედარებით
კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონელი			
საათი, მილიონი ცალი	71	98	100,9
ფაიფურ-ქაშანურისა და შაოლიკის ჭურჭელი, მილიონი მანეთი	994	99,2	105
სორტული ჭურჭელი (მინისა და ბროლის), მილიონი მანეთი	881	102	90
რადიომიმღები მოწყობილობა, მილიონი ცალი	8,1	91	91
ტელევიზორი, მილიონი ცალი	9,1	93	96
მათ შორის ფერადი გამოსახულების	4,6	89	106
მაგნიტოფონი, მილიონი ცალი	5,9	89	105
მაცივარი და საყინავი, მილიონი ცალი	6,0	97	100,7
მათ შორის ორ-და სამსაკნიანი მაცივარი	1,3	85	134
სარეცხი მანქანა, მილიონი ცალი	5,8	95	107
„ზიგზაგის" ტიპის საკერავი მანქანა, ათასი ცალი	958	102	104
ავეჯი, მილიარდი მანეთი	8,7	100,6	105
მსუბუქი ავტომობილი, მილიონი ცალი	1,3	100,1	100,5
მოტოციკლი, ათასი ცალი	960	94	92
სუფთა ქაღალდის საქონელი, მილიონი მანეთი	737	105	108
შპალერი, მილიონი პირობითი ნაჭერი	518	105	115
მსუბუქი მრეწველობის ნაწარმი			
ყველა სახეობის ქსოვილი, მილიარდი კვადრატული მეტრი	12,7	99,7	10,3
ტრიკოტაჟის ნაწარმი, მილიარდი ცალი	1,8	99	103
წინდის ნაწარმი, მილიარდი წყვილი	2,0	100,9	104
შეკერილი ნაწარმი, მილიარდი მანეთი	25,8	100,4	100,1
ფეხსაცმელი, მილიარდი წყვილი	805	99	101

1987 წელს წარმოებულია 327 მილიარდი მანეთის სახალხო მოხმარების საქონელი (ალკოჰოლიანი სასმელების გარდა). 1986 წელთან შედარებით მისი გამოშვება გაიზარდა 5,5 პროცენტით.

მაგრამ მოსახლეობისათვის საჭირო საქონლის წარმოების გადიდებაში მოხდა ჩამორჩენა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების კომპლექსური პროგრამით გათვალისწინებულ დავალებათაგან. ეს დაკავშირებულია სახალხო-სამეურნეო საქონლის, განსაკუთრებით საყოფაცხოვრებო ტექნიკის გამოშვების საგეგმო დავალებების შეუსრულებლობასთან. წლიურ გეგმას დააკლდა 836 ათასი რადიომიმღები მოწყობილობა, 723 ათასი ტელევიზორი (აქედან 561 ათასი — ფერადი გამოსახულებისა), 592 ათასი მაგნიტოფონი.

სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა დადგენილ დავალებებზე ნაკლები გამოუშვეს აბრეშუმისა და სელის ქსოვილი, ტრიკოტაჟის ნაწარმი, ფეხსაცმელი, საბავშვო ასორტიმენტის ცალკეული ნაწარმი, სასპორტო საქონელი. მომხმარებელს საწარმოთა მიერ დადებულ ხელშეკრულებებთან შედარებით დააკლდა მილიარდი მანეთის პროდუქცია. სახელშეკრულებო ვალდებულებებს თავი ვერ გაართვა სამინისტროს 434 საწარმომ.

მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში უპირატესი ტემპით იზრდებოდა განსაკუთრებით მოდური ტრიკოტაჟის, შეკერილი, წინდის ნაწარმის, ზოგიერთი სახეობის ფეხსაცმლის გამოშვება, მაგრამ მათი წილი ამ საქონლის საერთო მოცულობაში ჯერ კიდევ უმნიშვნელოა და 2-8 პროცენტს შეადგენს.

აგროსამრეწველო კომპლექსი

აგროსამრეწველო კომპლექსის **პროდუქციის საერთო მოცულობამ** 460 მილიარდ მანეთს გადააჭარბა და 1986 წელთან შედარებით გაიზარდა 1,8 პროცენტით. სოფლის მეურნეობის პროდუქცია გაიზარდა 0,2 პროცენტით; გადამამუშავებელი დარგების სასაქონლო პროდუქცია — 3,5 პროცენტით.

შრომის ნაყოფიერება საზოგადოებრივ სოფლის მეურნეობაში გაიზარდა 2,5 პროცენტით; გადამამუშავებელ დარგებში — 3,9 პროცენტით.

ამასთან ერთად მთელი რიგი კულტურების წარმოებისა და შესყიდვის მოცულობის შემცირებას მოჰყვა ის, რომ წინა წელთან შედარებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოგება ყველა სახეობის საქმიანობის მიხედვით შემცირდა 1,6 მილიარდი მანეთით და 23 მილიარდი მანეთი შეადგინა. ზარალიან მეურნეობათა რიცხვი გაიზარდა 1986 წლის 6,5 ათასიდან 1987 წლის 7,2 ათასამდე. სასოფლო-სამეურნეო წარმოების რენტაბელობა 19-დან 18 პროცენტამდე შემცირდა.

მემცენარეობა

1987 წელს მიღწეულია მარცვლეულის, შაქრის ჭარხლის (საფაბრიკო), მზესუმზირის წარმოების ზრდა.

მემცენარეობის ძირითადი პროდუქციის **წარმოებას** ყველა კატეგორიის მეურნეობაში ახასიათებს შემდეგი მონაცემები (მილიონი ტონა):

	1981-1985 წლები (საშუალო წლიური)	1986 წელი	1987 წელი
მარცვლეული	180,3	210,1	211,3
ხამი ბამბა	8,3	8,2	8,1
შაქრის ჭარხალი (საფაბრიკო)	76,4	79,3	90,0
მზესუმზირა	5,0	5,3	6,1
კარტოფილი	78,4	87,2	75,9

(გაგრძელება მე-6 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადიკალური რეფორმის გზებით

(გაგრძელება)

ბოსტნეული	29,2	29,7	29,1
ხილი და კენკრა (უციტრუსოდ)	10,4	11,5	7,9
ყურძენი	7,1	6,5	5,8

გაიზარდა მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა, მთლიანად ქვეყანაში მან შეადგინა ჰექტარზე 18,3 ცენტნერი, მათ შორის ბელორუსიის სს რესპუბლიკაში 33,9, უკრაინის სს რესპუბლიკაში — 32,2, ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში — 34,7, ლიტვის სს რესპუბლიკაში — 31,7, ესტონეთის სს რესპუბლიკაში — 32,3 ცენტნერი ჰექტარზე. 1986 წლის დონეზე დაბალი იყო მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა ორენბურგის, კურგანის, ომსკის, კუიბიშევის, კოქჩეტავის, კუსტანაის, პავლოდარის, ჩრდილოეთ ყაზახეთისა და ქვეყნის მთელ რიგ სხვა ოლქებში. სამარცვლე სიმინდი აღებულია 14,8 მილიონი ტონა, ფეტვი — 3,9 მილიონი ტონა, წიწიბურა — 1,3 მილიონი ტონა, ბრინჯი — 2,7 მილიონი ტონა, რაც მეტია 1986 წლის მაჩვენებელზე.

წინა წელთან შედარებით მარცვლეულის წარმოებაში ჩამორჩნენ რუსეთის ფედერაციის, ყაზახეთის, მოლდავეთის, სომხეთის სს რესპუბლიკების მეურნეობები; შაქრის ჭარხლის წარმოებაში — ლიტვის, მოლდავეთის, ლატვიის, სომხეთის სს რესპუბლიკების მეურნეობები.

ქვეყნის მეტწილ რეგიონებში მოიწიეს წინა წელზე ნაკლები კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი და კენკრა, ყურძენი.

სოფლის მეურნეობაში კვლავ არის სერიოზული ნაკლოვანებები მელიორირებული მიწების, ტექნიკისა და წარმოების სხვა საშუალებების გამოყენებაში. მთელ რიგ მეურნეობებში ნელა ინერგება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის პროგრესული მეთოდები. 1988 წლის მოსავლისათვის დასახულზე ნაკლები დაითესა საშემოდგომო კულტურები, რომლებიც ინტენსიური ტექნოლოგიებით მოჰყავთ — მათ 17,2 მილიონი ჰექტარი უკავიათ. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ძირითადად უზრუნველყოფილნი არიან საგაზაფხულო კულტურების თესლით, მაგრამ მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ არ არის მიყვანილი სათეს კონდიციამდე.

სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის, საავტომობილო მრეწველობის სამინისტროების ცალკეული საწარმოო გაერთიანებები და ქარხნები აგვიანებენ სათადარიგო ნაწილების მიწოდებას, რაც აფერხებს ტექნიკის რემონტს.

მარცვლეული კულტურების შესყიდვის გეგმა შეასრულეს უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის, ლიტვის, ლატვიის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, სომხეთის, თურქმენეთისა და ესტონეთის სს რესპუბლიკების, რუსეთის სფს რესპუბლიკის 38 ოლქის, ყაზახეთის სს რესპუბლიკის 11 ოლქის მეურნეობებმა. წინა წელზე მეტია შესყიდული ჭვავი, ფეტვი, წიწიბურა, სიმინდი, ქერი და სამარცვლე პარკოსანი კულტურები.

ტექნიკური კულტურების, კარტოფილისა და ხილბოსტნეულის შესყიდვამ შეადგინა (მილიონი ტონა).

	1981-1985 წლები (საშუალო წლიური)	1986 წ.	1987 წ.
შაქრის ჭარხალი (საფაბრიკო)	68,2	70,7	78,9
მზესუმზირა	3,9	4,3	4,8
ხამი ბამბა	8,3	8,2	8,1
კარტოფილი	16,4	19,0	16,9
ბოსტნეული	19,4	20,9	20,2
ხილი და კენკრა (უციტრუსოდ)	5,5	5,6	4,2

შაქრის ჭარხლის შესყიდვის გეგმა შეასრულეს რუსეთის ფედერაციის, ბელორუსიისა და საქართველოს სს რესპუბლიკების მეურნეობებმა.

ვერ შესრულდა საერთო-საკავშირო ფონდში კარტოფილის, ხილისა და ბაღჩეული კულტურების მიწოდების გეგმა, გაუარესდა მათი ხარისხი.

მეცხოველეობა

ამ დარგის პროდუქციის **წარმოებას** ყველა კატეგორიის მეურნეობებში ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	1981-1985 წლები (საშუალო წლიური)	1986 წ.	1987 წ.
ხორცი (ნაკლავი წონა) მილიონი ტონა	16,2	18,0	18,6
რძე, მილიონი ტონა	94,6	102,2	103,4
კვერცხი, მილიარდი ცალი	74,4	80,7	82,1
მატყლი (ფიზიკური წონა), ათასი ტონა	457	469	455

საზოგადოებრივ მეურნეობებში ხორცის წარმოება გაიზარდა 6 პროცენტით, რძისა — 2, კვერცხისა — 4 პროცენტით. რძის საშუალო ნაწველი ერთ ძროხაზე გაიზარდა 72 კილოგრამით, ანუ 3 პროცენტით. მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება 1986 წელთან შედარებით გაიზარდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, სომხეთისა და ტაჯიკეთის სს რესპუბლიკების გარდა, სადაც დაუშვეს რძის წარმოების შემცირება. ამასთან ერთად კვლავ არსებობს მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისა და პირუტყვის სულადობის შემცირების ტენდენცია მოსახლეობის პირად დამხმარე მეურნეობებში.

პროდუქტიული პირუტყვის **სულადობა** შეიცვალა ამგვარად (1 იანვრისათვის; მილიონი სული):

	ყველა კატეგორიის მეურნეობებში		მათ შორის მოსახლეობასთან	
	1987 წ.	1988 წ.	1987 წ.	1988 წ.
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	122,1	120,5	23,7	23,4
მათ შორის ძროხა	42,4	42,0	12,9	12,8
ღორი	79,5	77,3	13,6	13,6
ცხვარი და თხა	148,7	147,0	33,4	33,2

ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკების (რსფსრ, უკრაინის სსრ, ყაზახეთის სსრ, მოლდავეთის სსრ) კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში განვლილ წელს მნიშვნელოვანი რაოდენობის პირუტყვი გაწყდა.

ხორცის რესურსების დიდი დანაკარგები აქვთ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში დაკლებული წონითი კონდიციების პირუტყვის გაყიდვის გამო. ასეთი პირუტყვის ხვედრითი წილი შესყიდვის საერთო მოცულობაში დიდია რუსეთის სფს რესპუბლიკაში, უკრაინისა და ყირგიზეთის სს რესპუბლიკებში.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოები წლის დამდეგისათვის უზრუნველყოფილი იყვნენ საკვებით 20 პროცენტით მეტად, ვიდრე 1987 წლის დამდეგისათვის, ამასთან ერთად მეცხოველეობის ფერმებში სხვადასხვა მიზეზით არ იყენებენ ბევრ არსებულ საკვებსაამქროსა და საკვებსამზარეულოს.

მეცხოველეობის პროდუქტების **სახელმწიფო შესყიდვის** ყველა კატეგორიის მეურნეობებში ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	1981-1985 წლები (საშუალო წლიური)	1986 წ.	1987 წ.
პირუტყვი და ფრინველი (ცოცხალი წონა), მილიონი ტონა	17,2	20,0	21,8
რძე, მილიონი ტონა	62,2	71,8	74,3
კვერცხი, მილიარდი ცალი	48,0	53,6	55,5
მატყლი (წმინდა ბოჭკოზე გადაყვანით) ათასი ტონა	233,8	241,8	241,2

წინა წელთან შედარებით რძის გაყიდვა შეამცირეს ტაჯიკეთისა და სომხეთის სს რესპუბლიკებმა, მატყლისა — რუსეთის სფს რესპუბლიკამ და მოლდავეთის სს რესპუბლიკამ.

ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ, რუსეთის სფს რესპუბლიკის გარდა, შეასრულა საერთო-საკავშირო ფონდში მეცხოველეობის პროდუქტების მიწოდების გეგმა. რუსეთის სფს რესპუბლიკაში ბოლომდე ვერ შესრულდა ხორცის პროდუქტების გეგმა.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებამ შესაძლებლობა მოგვცა 1987 წელს რძის პროდუქტების მოხმარება ერთ სულზე გაანგარიშებით საშუალოდ გაგვეზარდა 343 კილოგრამამდე და კვერცხისა — 270 ცალამდე ანუ იმ დონემდე, რომელიც სსრ კავშირის სასურსათო პროგრამით 1990 წლისათვის არის გათვალისწინებული.

კვების მრეწველობა

უმნიშვნელოვანეს სახეობათა კვების პროდუქციის წარმოებამ შეადგინა:

	წარმოებულია 1987 წელს	წლიური გეგმის შესრულების პროცენტი	1987 წელი პროცენტობით 1986 წელთან შედარებით
ხორცი (სამრეწველო გამომუშავება) მილიონი ტონა	12,1	104	104
ძეხვეული, მილიონი ტონა	3,7	104	104
სასურსათო თევზის პროდუქცია, მათ შორის თევზის კონსერვები, მილიონი ტონა	5,7	102	97
ერბო-კარაქი, მილიონი ტონა	1,7	107	104
მოუხდელი ყველი, ათასი ტონა	861	100,1	103
მოუხდელი რძის პროდუქცია რძეზე გადაანგარიშებით, მილიონი ტონა	32,4	106	104
მარგარინის პროდუქცია, მილიონი ტონა	1,5	96	106
ფხვნილი შაქარი, მილიონი ტონა	13,7	97	107
მცენარეული ზეთი, მილიონი ტონა	3,0	98	102
საკონდიტრო ნაწარმი, მილიონი ტონა	4,6	102	104
ნატურალური ჩაი, ათასი ტონა	279	103	108
კონსერვი, მილიარდი პირობითი ქილა	20,5	103	103
მათ შორის ხილის წვენები	4,5	120	109
მინერალური წყალი, მილიონი დეკალიტრი	158	101	107
უალკოჰოლო სასმელები, მილიონი დეკალიტრი	531	72	107

არყისა და ლიქიორ-არყის პროდუქციის წარმოება 1986 წელთან შედარებით შემცირდა 16 პროცენტით.

სსრ კავშირის სახაგრომრეწვის საწარმოებმა მომხმარებლებს დააკლეს 1,3 მილიარდი მანეთის პროდუქცია (გეგმა შესრულებულია 98,8 პროცენტით), მათ შორის რუსეთის სფსრ სახაგრომრეწვმა — 544, უკრაინის სსრ — 312, უზბეკეთის სსრ — 145, მოლდავეთის სსრ — 117 მილიონი მანეთისა.

აგროსამრეწველო კომპლექსის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

გეგმით გათვალისწინებულზე მეტია მიწოდებული ბამბასაკრეფი და ჭარხალასაღები მანქანები, ტრაქტორის გუთნები, ნაკლები — ტრაქტორები და მეტწილ სახეობათა სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ძირითადად, მომხმარებელთა უარის გამო.

მიწოდებულია 27,4 მილიონი ტონა მინერალური სასუქი (100 პროცენტ მასაზრდოებელ ნივთიერებებზე გაანგარიშებით), ანუ 0,9 მილიონი ტონით მეტი წინა წელთან შედარებით, ქიმიური საკვები დანამატები — 1,1 მილიონი ტონა, ანუ 28 ათასი ტონით მეტი; მინერალური სასუქისა და ქიმიური საკვები დანამატების მიწოდების გეგმა შესრულებულია.

დაიწყო გადასვლა საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების საქონლის საბითუმო ვაჭრობაზე.

აგროსამრეწველო კომპლექსის, მათ შორის წარმოების საშუალებებით სოფლის მეურნეობის უზრუნველმყოფი დარგების განვითარების კაპიტალურმა დაბანდებამ შეადგინა 63 მილიარდი მანეთი, ანუ დადგენილი ლიმიტის 101 პროცენტი. ამ სახსრებიდან სოფლის მეურნეობის განვითარებას მოხმარდა 51 მილიარდი მანეთი, გადამმუშავებელ დარგებს — 4,5 მილიარდი მანეთი, წარმოების საშუალებებით სოფლის მეურნეობის უზრუნველმყოფ დარგებს — 4 მილიარდი მანეთი.

აშენებულია მეცხოველეობის სადგომები, მექანიზებული ფერმები და კომპლექსები 5,6 მილიონი სული პირუტყვის, 7,8 მილიონი ფრთა ფრინველის შესანახად, სასილოსე და სასენაჟე ნაგებობანი, რომელთა ტევადობა 14 მილიონ კუბურ მეტრს შეადგენს, 5,5 მილიონი ტონა ერთდროული შენახვის თივის საცავები. ამოქმედდა 1,9 მილიონი ტონა ერთდროული შენახვის კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის საცავები. ვერ უზრუნველყვეს ამ ობიექტების ამოქმედების დავალებათა შესრულება ტულის, ვოლგოგრადის, კურსკის, პერმის, ლვოვისა და ზოგიერთმა სხვა ოლქმა.

საექსპლოატაციოდ არის გადაცემული 1,2 მილიონი ჰექტარი სარწყავი და დაშრობილი მიწები, 1,6 მილიონ ჰექტარ ფართობზე მოეწყო კულტურტექნიკური სამუშაოები სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე, რომლებსაც დაშრობა არ სჭირდება.

მწყობრში ჩადგა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანა-მოწყობილობის, მინერალური სასუქისა და საკვები დანამატების წარმოების ახალი სიმძლავრენი. გადამმუშავებელ დარგებში ამოქმედდა სახელმწიფო გეგმის ნომენკლატურის სიმძლავრეებიანი 136 ობიექტი. მათ შორის არის ხორცის, მოუხდელი რძის პროდუქციის, შაქრის, ხილბოსტნეულის კონსერვების საწარმოო სიმძლავრენი, აგრეთვე თევზის გადამმუშავებელი საწარმოები, ელევატორები, კომბინირებული, საკვებისა და საფქვავი საწარმოები.

სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებში მოეწყო ტყეთაღდგენის სამუშაოები 2,2 მილიონ ჰექტარ ფართობზე. ტყეთაღდგენის საერთო მოცულობიდან დარგული და დათესილია დაახლოებით მილიონი ჰექტარი ტყე. განხორციელდა სამუშაოები 120 ათას ჰექტარ ფართობზე დამცავი ტყის ნარგავების გასაშენებლად ხევებში, ქვიშრობებსა და კოლმეურნეობა-საბჭოთა მეურნეობების საძოვრების მიწებზე.

კაპიტალური მშენებლობა

ხორციელდებოდა ღონისძიებანი საინვესტიციო პოლიტიკის გარდასაქმნელად, სამშენებლო კომპლექსის მუშაობის ეფექტიანობის გასაზრდელად. 1986 წელთან შედარებით მშენებარე საწარმოო ნაგებობების რაოდენობა შემცირდა 11 პროცენტით. სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების საერთო მოცულობაში იმ დაბანდებათა წილმა, რომლებიც საწარმოებისა და ორგანიზაციების საკუთარი სახსრების ხარჯზე ფინანსდება, შეადგინა 18 პროცენტი 1986 წლის 3,1 პროცენტის ნაცვლად. მნიშვნელოვნად გაიზარდა ინვესტიციების მოცულობა მანქანათსაშენებელ კომპლექსში. ძირითადად დაძლეულია ნარჩენების გამოყოფის პრინციპით მიდგომა სოციალური სფეროს ობიექტების მშენებლობისადმი.

ამოქმედებულია 9,2 მილიარდი მანეთით მეტი ძირითადი ფონდები, ვიდრე 1986 წელს, **კაპიტალურმა დაბანდებამ** დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე შეადგინა 203,5 მილიარდი მანეთი. სახელმწიფო საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ ძირითადი ფონდების ამოქმედებისა და კაპიტალური დაბანდების ათვისების დავალებანი შესრულებულია შესაბამისად 92 და 97 პროცენტით. საექსპლოატაციოდ გადაეცა სახელმწიფო გეგმის ნომენკლატურის სიმძლავრეებიანი 1044 ობიექტი, ანუ წლისათვის გათვალისწინებული რაოდენობის 71 პროცენტი.

კომპლექსების მიხედვით სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმის შესრულებას და ზრდის ტემპს ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	წლიური გეგმის შესრულების პროცენტი	1987 წელი პროცენტობით 1986 წელთან შედარებით
სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი	91	112
მეტალურგიული კომპლექსი	82	105
მანქანათსაშენებელი კომპლექსი	83	111
ქიმიურ-სატყეო კომპლექსი	71	101
აგროსამრეწველო კომპლექსი	96	104
სამშენებლო კომპლექსი	89	117
სსრკ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	90	114

სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში ამოქმედდა 11,2 მილიონი კილოვატის ტურბინიანი ელექტროსადგურების სიმძლავრენი: მოქმედთა მწყობრში ჩადგა ხმელნიცკის ატომური ელექტროსადგური, ამოქმედდა ტურბინები ბალაკოვოს ზაპოროჟიესა და იგნალინსკის ატომურ ელექტროსადგურებში, სურგუტის № 2 სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში, ტიუმენის № 2 თბოელექტროცენტრალში, ყირგიზეთის სსრ ტაშ-ყუმირის ჰიდროელექტროსადგურში. საექსპლოატაციოდ არის გადაცემული 2,1 მილიონი ტონა ქვანახშირის მოპოვების სიმძლავრენი, მათ შორის ჭრილებში „ბერიოზოვსკი" № 1 (I რიგი) კრასნოიარსკის მხარეში, „აღმოსავლეთის" პავლოდარის ოლქში, „შუბარკოლის" ყარაღანდის ოლქში. საექსპლოატაციოდ გადაეცა 11,9 ათასი კილომეტრი საერთო სიგრძის მაგისტრალური გაზსადენების სახაზო ნაწილი, მათ შორის დაახლოებით 3 ათასი კილომეტრი იამბურგ-სსრ კავშირის დასავლეთი საზღვრის გაზსადენზე. ამასთანავე 235 ობიექტთაგან არ ამოქმედებულა 74, მათ შორის ტურბინების ზაგორსკის სახელმწიფო ატომურ ელექტროსადგურში, ნოვოსიბირსკის № 5 თბოელექტროცენტრალში, კემეროვოს სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში, ქვანახშირის მოპოვების სიმძლავრენი ხაბაროვსკის მხარის „ურგალის" შახტში.

მეტალურგიულ კომპლექსში, საექსპლოატაციოდ გადაეცა 3,3 მილიონი ტონა რკინის მადნის მოპოვების, მისგან 1,4 მილიონი ტონა კონცენტრატის წარმოების, 3 მილიონი ტონა ფოლადის, 1,4 მილიონი ტონა შავი ლითონების ნაგლინის, 564 ათასი ტონა ფოლადის მილების გამოშვების სიმძლავრენი. მათ შორის არის ფოლადის წარმოების დიდი სიმძლავრენი ვოლოგდის ოლქის ჩერეპოვეცის მეტალურგიულ კომბინატში, რკინის მადნის მოპოვების და მისგან კონცენტრატის წარმოებისა — ბელგოროდის ოლქის ლებედინსკის სამთო მამდიდრებელ კომბინატში, ფოლადის მილებისა — ვოლგოგრადის ოლქის ვოლგის მილის ქარხანაში. წლისათვის გათვალისწინებულ 127 ობიექტიდან არ ამოქმედებულა მესამედი, მათ შორის ფოლადის საწარმოო სიმძლავრენი შორეული აღმოსავლეთის ამურის კომსომოლსკის მეტალურგიულ ქარხანაში, კოქსისა — დნეპროპეტროვსკის ოლქის დნეპროძერჟინსკის კოქსქიმიურ ქარხანაში, ლითონის ჯართის გადამუშავებისა — ხარკოვისა და მოსკოვის ოლქის მეორეული შავი ლითონების გადამუშავების ქარხნებში.

მანქანათსაშენებელ კომპლექსში გაიზარდა ორთქლის ტურბინების საწარმოო სიმძლავრენი ხარკოვის ტურბინის ქარხანაში, ლითონსაჭრელი ჩარხებისა — ალმა-ათის ჩარხსაშენებელ ქარხანაში, კაბელის ნაწარმისა — პერმის ქარხანა „კამკაბელში", ტრაქტორის მისაბმელებისა — ყირიმის ოლქის ჯანკოის მანქანათსაშენებელ ქარხანაში. 200 ობიექტიდან არ არის უზრუნველყოფილი 34-ის საექსპლოატაციოდ გადაცემა, მათ შორის ძალური ნახევარგამტარიანი ხელსაწყოების საწარმოო სიმძლავრეებისა სომხეთის სსრ აშთარაკის ქარხანაში, სამედლო-საწნეხი მანქანებისა — კალინინის ოლქის ნელიდოვის ჰიდრავლიკური წნეხების ქარხანაში, სატვირთო ავტომობილებისა — ულიანოვსკის საავტომობილო ქარხანაში.

ქიმიურ-სატყეო კომპლექსში საექსპლოატაციოდ გადაეცა სიმძლავრენი, რომლებიც აწარმოებენ 450 ათას ტონა სინთეზურ ამიაკს, 22 ათას ტონა ქიმიურ ბოჭკოსა და ძაფს. 51 ათას ტონა სინთეზურ ფისებსა და პლასტიკურ მასებს, 258 ათას ტონა ქაღალდს. ამოქმედებულთა შორის არის სინთეზური ამიაკის საწარმოო სიმძლავრენი კემეროვოს საწარმოო გაერთიანება „აზოტში", ქიმიური ბოჭკოსი — ვიტებსკის ოლქის საწარმოო გაერთიანება „პოლიმირში". 100 ობიექტიდან არ ამოქმედებულა 44. საექსპლოატაციოდ არ გადაცემულა ეპოქსიდური ფისების საწარმოო სიმძლავრენი ლენინგრადის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „პიგმენტში", სინთეზური ამიაკისა —ვორონეჟის ოლქის როსოშანის ქიმიურ ქარხანაში, გოგირდმჟავასი — სარატოვის ოლქის ბალაკოვის ქიმიურ ქარხანასა და აზერბაიჯანის სსრ სუმგაითის სუპერფოსფატის ქარხანაში და სხვ.

სამშენებლო კომპლექსში გაიზარდა სიმძლავრენი, რომლებიც აწარმოებენ ცემენტს, აზბესტ-ცემენტის მილებსა და ქუროებს, კერამიკის მოსაპირკეთებელ ფილებს, ფოლადის სამშენებლო კონსტრუქციებს, ასაწყობ რკინაბეტონის კონსტრუქციებსა და ნაკეთობებს. წლისათვის გათვალისწინებული 94 ობიექტიდან არ ამოქმედებულა 26. საქართველოს სსრ კასპის ცემენტის ქარხანაში საექსპლოატაციოდ არ გადაცემულა ცემენტის წარმოების სიმძლავრენი, როსტოვის ოლქის შახტებსა და ასტრახანის ოლქის ევპრაზნების კერამიკის საკედლე მასალების ქარხნებში — აგურის წარმოებისა.

მსუბუქ მრეწველობაში ამოქმედდა ზედა ტრიკოტაჟისა და ტრიკოტაჟის საცვლის, მზა ქსოვილების, შეკრული ნაწარმისა და ფეხსაცმლის საწარმოო სიმძლავრენი. ამასთანავე სიმძლავრეთა ამოქმედების გეგმა არ შესრულებულა. ასამოქმედებლად გათვალისწინებული 110 ობიექტიდან ამუშავდა 88.

გაფართოვდა ქვეყნის სატრანსპორტო ქსელი. გაყვანილია 600 კილომეტრზე მეტი ახალი რკინიგზის ხაზები, მეორე ლიანდაგები, დაახლოებით 26 ათასი კილომეტრი მყარსაფარიანი საავტომობილო გზები.

ყველა სახალხო-სამეურნეო კომპლექსში გრძელდებოდა საწარმოებისა და ობიექტების მშენებლობა ისეთი პროექტების მიხედვით, რომელთა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს.

საიჯარო სამუშაოთა მოცულობა, რომელიც სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებმა შეასრულეს, გაიზარდა 5 პროცენტით, სამშენებლო კომპლექსის ორგანიზაციების მიხედვით — 6 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება — შესაბამისად 6 და 7,8 პროცენტით. სამუშაოთა მოცულობის მთელი მატება მიღებულია შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე.

ამასთანავე მშენებლობის გარდაქმნა ჯერ კიდევ ნელა ხორციელდება. საიჯარო სამუშაოთა გეგმა მთლიანად სამშენებლო ორგანიზაციებში შესრულებულია 99,8 პროცენტით. სამშენებლო კომპლექსის 31 სამინისტროსა და უწყებისაგან საიჯარო სამუშაოთა გეგმას თავი გაართვა მხოლოდ 12-მა.

სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა დაახლოებით 40 პროცენტს არ შეუსრულებია საიჯარო სამუშაოთა მოცულობის გეგმა, თითქმის ყოველ მესამეს — შრომის ნაყოფიერების ზრდისა.

სამშენებლო სამინისტროებმა არ განახორციელეს ღონისძიებანი მატერიალურ-ტექნიკური და შრომითი რესურსების ასამოქმედებელ ობიექტებზე კონცენტრაციისათვის. ასეთ ობიექტებზე საიჯარო სამუშაოთა დავალების შესრულებამ შეადგინა 99 პროცენტი, და იგი ვერ უზრუნველყო თითქმის ვერც ერთმა სამშენებლო სამინისტრომ.

ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

ტვირთის გაგზავნასა და საერთო სარგებლობის ტრანსპორტის მგზავრთბრუნვას ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	შესრულებულია 1987 წ.	წლიური გეგმის შესრულების პროცენტი	1987 წელი პროცენტობით 1986 წელთან შედარებით
ტვირთის გაგზავნა, მილიონი ტონა			
რკინიგზის ტრანსპორტი	4050	100	99,8
საზღვაო ტრანსპორტი	252	101	100,8
აქედან საკაბოტაჟო ნაოსნობით	82	96	96
სამდინარო ტრანსპორტი	673	103	104
საავტომობილო ტრანსპორტი	6844	102	103
მილსადენი ტრანსპორტი			
ნავთობი და ნავთობპროდუქტები	660	101	101
გაზი (სსრკ გაზის მრეწველობის სამინისტრო)	548	102	106
საავიაციო ტრანსპორტი	3	106	100,8
მგზავრთბრუნვა, მილიარდი მგზავრკილომეტრი			
რკინიგზის ტრანსპორტი	400	104	103
საავტომობილო ტრანსპორტი (ავტობუსი)	472	100,7	102
საავიაციო ტრანსპორტი	204	103	104

ყველა სახეობის საერთო სარგებლობის ტრანსპორტით გაგზავნილია 13 მილიარდ ტონაზე მეტი ტვირთი, გეგმა გადაჭარბებულია 1,4 პროცენტით.

ყველა სახეობის ტრანსპორტით ტონა ტვირთის გადაზიდვის საშუალო მანძილი დარჩა 1986 წლის დონეზე და შეადგინა 613 კილომეტრი, რკინიგზის ტრანსპორტზე — 945 კილომეტრი.

ყველა სახეობის ტრანსპორტმა შეასრულა გადაზიდვა-გადაყვანაზე მუშაკთა შრომის ნაყოფიერების დავალებანი. საზღვაო ტრანსპორტზე გეგმა ამ მაჩვენებლის მიხედვით შესრულებულია 8,5 პროცენტის გადაჭარბებით, 1986 წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 9,7 პროცენტით. რკინიგზის ტრანსპორტზე — შესაბამისად 7,6 და 6,8 პროცენტით, სამოქალაქო ავიაციაში — 3,1 და 3,8 პროცენტით.

ყველა სახეობის ტრანსპორტის მგზავრთბრუნვა 2,5 პროცენტით, გაიზარდა და შეადგინა 1084 მილიარდი მგზავრკილომეტრი.

საერთო სარგებლობის ტრანსპორტზე კვლავინდებურად ხდებოდა დიდძალი ავარიები. რკინიგზის ტრანსპორტზე 1986 წელთან შედარებით იმატა მატარებლების კატასტროფებისა და ავარიების რიცხვმა.

რკინიგზის ტრანსპორტმა შეასრულა ტვირთის გაგზავნის საერთო გეგმა, მათ შორის, ქვანახშირის, ნავთობის და ნავთობპროდუქტების, მადნის, შავი ლითონების, ცემენტის, მინერალური სასუქის, მარცვლეულის, საფქვავი პროდუქტების და სხვა ტვირთისა.

ამასთანავე გეგმით გათვალისწინებულზე შედარებით ნაკლებია გადაზიდული ტორფი და ტორფის პროდუქცია, ფლუსები, ლითონკონსტრუქციები, ხეტყე, ცეცხლგამძლე მასალა, გრანულირებული წიდა, მალფუჭადი სასურსათო ტვირთი. მნიშვნელოვანია ტვირთის დანაკარგები მისი გადაზიდვის დროს.

32 რკინიგზიდან ტვირთის გაგზავნის დავალებებს თავი ვერ გაართვა 9-მა, მათ შორის კუიბიშევის, ვოლგისპირა, დასავლეთ ციმბირის ამიერკავკასიის და გორკის რკინიგზებმა.

გაუარესდა სატვირთო ვაგონების გამოყენების მაჩვენებლები. ვაგონების ბრუნვა 1986 წელთან შედარებით შენელდა 5 საათით. მრავალი საწარმოს — ტვირთის გამგზავნი და მიმღები საწარმოების მისასვლელ გზებზე ურიგდებოდნენ ვაგონების ზენორმატიულ მოცდენას, დაზიანებას. საწარმოს მიზეზით მისასვლელ გზებზე და სადგურებში ვაგონის მოცდენის საშუალო დრომ წლის მანძილზე ნორმას გადაამეტა 0,7 საათით, ანუ 10 პროცენტით, მათ შორის სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს საწარმოებში — 82 პროცენტით, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსი — 71, „ცენტროსოიუზისა" — 70, სსრ კავშირის სამხრეთის მშენებლობის სამინისტროსი — 50, სსრ კავშირის ნავთობმრეწველობის სამინისტროსი — 48 პროცენტით.

განრიგის დაურღვევლად ჩავიდა სამგზავრო მატარებლების (საგარეუბნოს გარდა) 85 პროცენტი.

საზღვაო ტრანსპორტზე საზღვარგარეთ ნაოსნობისას ტვირთზიდვის დავალება რეალიზებულია 101 პროცენტით, მაგრამ ვერ არის მიღწეული საკაბოტაჟო ნაოსნობით ტვირთის გაგზავნის დაგეგმილი დონე, 16 სანაოსნოდ დავალებას თავი ვერ გაართვა 6-მა.

სამდინარო ტრანსპორტმა შეასრულა ტვირთის გაგზავნის გეგმა როგორც მთელი ქვეყნის, ისე ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მიხედვით.

არ არის შესრულებული ტვირთის ტრანსპორტირების გეგმა პირდაპირი სარკინიგზო-სამდინარო მიმოსვლით. დავალებასა და წინა წლის დონეზე ნაკლებია გადაყვანილი მგზავრები.

სამოქალაქო **ავიაციამ** 4 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულა მგზავრთა გაგზავნის გეგმა, 6 პროცენტით გადააჭარბა საავიაციოქიმიური სამუშაოების გეგმას სოფლისა და სატყეო მეურნეობებში.

ყოველი მეხუთე თვითმფრინავი დანიშნულების პუნქტში განრიგის გადახრით ჩავიდა.

საავტომობილო ტრანსპორტზე ტვირთზიდვის გეგმას თავი ვერ გაართვეს მოლდავეთის სსრ, თურქმენეთის სსრ და უზბეკეთის სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროებმა. საერთო სარგებლობის ავტობუსებითა და მსუბუქი ტაქსებით მგზავრთა გადაყვანის შემოსავალი 1986 წელთან შედარებით 3 პროცენტით გაიზარდა და 8,1 მილიარდი მანეთი შეადგინა.

გაუარესდა სატვირთო ავტომობილების გამოყენება: გაიზარდა გამართული მანქანების მოცდენის ხვედრითი წონა და უტვირთო გარბენის წილი, შემცირდა ავტომობილების მწარმოებლობა ტონა ტვირთამწეობაზე გაანგარიშებით.

სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სამინისტროს **გაზსადენებმა** მომხმარებლებს მიაწოდეს დავალებაზე 0,7 პროცენტით მეტი სასაქონლო გაზი.

საქალაქო ელექტროტრანსპორტზე მგზავრთა გადაყვანა გაიზარდა 3 პროცენტით, გადაყვანილია 25 მილიარდი კაცი. 1987 წელს ამოქმედდა მეტროპოლიტენის ახალი უბნები მოსკოვში, ლენინგრადში, გორკში, ნოვოსიბირსკში, კუიბიშევში, ტაშკენტში. გაიხსნა ტროლეიბუსის მიმოსვლა ანთრაციტში (ვოროშილოვგრადის ოლქი) და ბუხარაში. გაიზარდა მალი ტრამვაის ხაზების რიცხვი, რომლითაც გადაყვანილია 166 მილიონი მგზავრი.

კავშირგაბმულობის საწარმოებმა შეასრულეს ძირითადი საქმიანობით მიღებული შემოსავლის გეგმა. 1986 წელთან შედარებით კავშირგაბმულობის მომსახურება გაიზარდა 6 პროცენტით. დარგმა თავი გაართვა ქალაქისა და სოფლის სატელეფონო ქსელებში ძირითადი სატელეფონო აპარატების რიცხვის ზრდის დავალებას.

IV. სოციალური განვითარება და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება

მოსახლეობამ 1988 წლის დამდეგს შეადგინა 284,5 მილიონი კაცი, 1986-1987 წლებში ჩვენს ქვეყანაში აღინიშნა მოსახლეობის უფრო დიდი მატება — თითქმის 2,9 მილიონი კაცი საშუალოდ წელიწადში 1981-1985 წლების 2,4 მილიონთან შედარებით.

უმჯობესდება დემოგრაფიული სიტუაცია იმის მეოხებით, რომ ქვეყანაში მიმდინარეობს პოზიტიური ცვლილებები, უზრუნველყოფილია სოციალური სფეროს პრიორიტეტული განვითარება, გაფართოვდა მისი მატერიალური ბაზა, ხორციელდება ღონისძიებანი ოჯახის განსამტკიცებლად. არსებითად შემცირდა მოსახლეობის სიკვდილიანობა. 1986-1987 წლებში საშუალოდ დაიხოცა 200 ათასი კაცით ნაკლები, ვიდრე 1984 წელს. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა თითქმის 2 წლით გაიზარდა და ამჟამად შეადგენს 69,6 წელს. შარშან დაიბადა 5,6 მილიონი ბავშვი 1980 წლის 4,9 მილიონთან შედარებით.

შრომის ანაზღაურება და მოსახლეობის შემოსავალი

მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიურმა ფულადმა ხელფასმა სახალხო მეურნეობაში შეადგინა 201 მანეთი 1986 წლის 196 მანეთის ნაცვლად. გაცილებით მეტია (300 მანეთი და მეტი) კვალიფიციური მეფოლადეების, მჭედლების, ნავთობისა და გაზის მოპოვების, ჭაბურღილების მიწისქვეშა რემონტის ოპერატორების, ბულდოზერისა და ექსკავატორის მემანქანეების, მაღაროელების, მნგრეველებისა და სხვათა შრომის ანაზღაურების დონე.

კოლმეურნეთა შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება გაიზარდა 163 მანეთიდან 167 მანეთამდე.

განხორციელდა 1980 წლის გეგმით ხელფასის მოსამატებლად გათვალისწინებული ღონისძიებანი.

ყველგან დამთავრდა მასწავლებლებისა და სახალხო განათლების სხვა მუშაკთა ხელფასის მომატება, რაც ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებებით იყო გათვალისწინებული. ამის შედეგად დაწყებითი კლასების მასწავლებელთა ხელფასი გაიზარდა 53 პროცენტით, საშუალო და უფროსი კლასების მასწავლებლებისა — 33 პროცენტით, საშუალო სპეციალური და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მასწავლებლებისა — 25 პროცენტით.

გაფართოვდა ჩვილ ბავშვთა სახლების, ბავშვთა სახლებისა და ობოლი და უპატრონოდ დარჩენილი ბავშვების სკოლა-ინტერნატების მუშაკთა შრომის ანაზღაურების შეღავათები.

გრძელდება ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებების მუშაკთა ხელფასის ეტაპობრივი მომატება.

მუშებსა და მოსამსახურეებს დაუწესდათ ხელფასის დანამატი შორეული აღმოსავლეთის სამხრეთ რაიონების, ჩიტის ოლქის, ბურიატეთის ასსრ და ტუვის ასსრ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში უწყვეტი მუშაობის სტაჟისათვის.

დაწესებული აქვთ ხელფასის რაიონული კოეფიციენტები მუშებს და მომსახურეებს, რომლებსაც ისინი წინათ არ ჰქონიათ, ურალში და ყაზახეთის სსრ ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი რაიონების საწარმოო დარგებში.

მრავალცვლიან რეჟიმზე გადასვლით მუშა-მოსამსახურეთა დაინტერესების გასაძლიერებლად ღამით მუშაობისათვის მისაცემლებთან ერთად შემოღებულია საღამოს ცვლაში მუშაობისათვის დანამატი მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოებსა და ორგანიზაციებში, გაფართოვდა მორალური წახალისების შესაძლებლობანი. ღამის მუშაობისათვის დანამატი მოემატათ პურსაცხობი და მაკარონის მრეწველობის საწარმოთა მუშაკებს.

სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგებში ხორციელდებოდა ხელფასის მომატება შრომითი კოლექტივების მიერ გამომუშავებული სახსრების ხარჯზე. 1988 წლის 1 იანვრისათვის აღრიცხული მონაცემების მიხედვით, შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე გადაყვანილია 26 მილიონი კაცი, ანუ მიმდინარე ხუთწლედში გადასაყვან მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობის 37 პროცენტი.

მოსახლეობამ მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მიიღო მისაცემლები და შეღავათები 162,5 მილიარდი მანეთის ოდენობით, რაც 7,5 მილიარდი მანეთით მეტია, ვიდრე 1986 წელს. ამ მისაცემლებისა და შეღავათების გათვალისწინებით მუშა-მოსამსახურეთა ხელფასმა შეადგინა 287 მანეთი, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურებამ კოლმეურნეობების საზოგადოებრივი მეურნეობისაგან — 248 მანეთი თვეში.

გაუდიდდათ დახმარება ბავშვობიდან ინვალიდებს, დაუწესდათ დამატებითი შეღავათები დიდი სამამულო ომის მონაწილეებს და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს, აღარ ახდევინებენ ახალდაქორწინებულთ უშვილობის გადასახადს ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან ერთი წლის განმავლობაში. გრძელდებოდა პენსიების მომატება მუშების, მოსამსახურეებისა და მათი ოჯახებისათვის, რომლებსაც პენსია დაენიშნათ ათი და მეტი წლის წინ.

ხორციელდებოდა ღონისძიებანი ობოლ ბავშვთა და უპატრონოდ დარჩენილ ბავშვთა აღზრდა-განათლებისა და მატერიალური უზრუნველყოფის გასაუმჯობესებლად. მაღლდებოდა მთელი რიგი კატეგორიების უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეების, ასპირანტების მატერიალური და საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების დონე.

ავადმყოფი ბავშვის მოვლის ასანაზღაურებელი პერიოდის ხანგრძლივობა 14 დღემდე გაიზარდა.

მიმდინარეობდა სახელმწიფო შინაგანი სესხის ობლიგაციების დაფარვა.

მშრომელებმა გაზარდეს შემნახველ სალაროებში შეტანილი ანაბრები 24 მილიარდი მანეთით.

მოსახლეობის უზრუნველყოფა საქონლითა და მომსახურებით

მოსახლეობის მიერ მატერიალური სიკეთისა და მომსახურების მოხმარება წინა წელთან შედარებით 3,3 პროცენტით გაიზარდა.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის **საცალო საქონელბრუნვამ** შეადგინა 341,1 მილიარდი მანეთი და გაიზარდა 1986 წელთან შედარებით (ფაქტობრივი ფასებით) 9,2 მილიარდი მანეთით. მაგრამ მოსახლეობის ფულადი შემოსავალი საქონელბრუნვასა და მოხმარების ფონდზე უფრო სწრაფად იზრდებოდა, რის შედეგადაც შეიქმნა დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა.

მთლიანად ქვეყანაში საქონელბრუნვის გეგმა არ შესრულებულა საერთო მოცულობის მიხედვით და უკმარშესრულებამ შეადგინა 12,6 მილიარდი მანეთი. საგეგმო დავალებათა შესრულება უზრუნველყვეს ბელორუსიის, ლიტვის, მოლდავეთისა და ესტონეთის სს რესპუბლიკებმა.

ხორციელდებოდა ალკოჰოლიანი სასმელების წარმოებისა და რეალიზაციის შემცირება. გაიყიდა 13 პროცენტით ნაკლები ალკოჰოლიანი სასმელები, ვიდრე 1986 წელს. საგრძნობლად გაუმჯობესდა საცალო საქონელბრუნვის სტრუქტურა.

(დასასრული მე-4 გვ.)

რადიკალური რეფორმის გზებით

(დასასრული)

კვების პროდუქტებისა და არასასურსათო საქონლის რეალიზაცია გაიზარდა 3,1 პროცენტით.

ცალკეული საქონლის გაყიდვას სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში ახასიათებს შემდეგი მონაცემები (შესადარი ფასებით მილიარდი მანეთი):

	გაიყიდა 1987 წელს	1987 წელი პროცენტობით 1986 წელთან შედარებით
ხორცი და ხორცეული	28,7	106
თევზი და თევზეული	5,3	98
ერბო-კარაქი	5,7	108
მცენარეული ზეთი	1,7	102
სხვადასხვა მარგარინი	1,5	99
მოუხდელი რძის პროდუქცია	8,8	103
ყველი	1,8	103
კვერცხი	5,0	103
შაქარი	8,0	107
საკონდიტრო ნაწარმი	11,2	101
ჩაი	2,0	105
პურპროდუქტები, მილიონი ტონა	38,8	100
კარტოფილი, მილიონი ტონა	10,1	99
ბოსტნეული, მილიონი ტონა	13,7	95
ხილი და ციტრუსი, მილიონი ტონა	7,7	102
უალკოჰოლო სასმელები, მილიონი დეკალიტრი	468	110
მინერალური წყლები, მილიონი დეკალიტრი	149	101
ხილისა და ბოსტნეულის წვენები, მილიარდი პირობითი ქილა	5,5	102
თამბაქოს ნაწარმი	6,7	98
ტანსაცმელი, საცვლები და ქსოვილები	37,0	97
ტრიკოტაჟის ნაწარმი	14,5	102
წინდა	3,5	109
ფეხსაცმელი	13,1	95
ფაიფურ-ქაშანურის, მაიოლიკისა და მინის ჭურჭელი	2,5	111
საპონი და სინთეზური სარეცხი საშუალებანი	1,9	105
ავეჯი	8,4	103
მაცივრები და საყინავები, მილიონი ცალი	4,5	97
მათ შორის 200 კუბური დეციმეტრი და მეტი ტევადობისა	2,4	103
სარეცხი მანქანები, მილიონი ცალი	5,2	106
ელექტრომტვერსასრუტები, მილიონი ცალი	3,8	103
საათები, მილიონი ცალი	51,3	104
ფოტოაპარატები, მილიონი ცალი	2,2	108
რადიომიმღები მოწყობილობა, მილიონი ცალი	7,7	113
ტელევიზორები, მილიონი ცალი	8,1	94
მათ შორის ფერადგამოსახულებიანი	4,2	100
მაგნიტოფონები, მილიონი ცალი	5,5	107
ველოსიპედები და მოპედები, მილიონი ცალი	5,5	100
მოტოციკლები და მოტოროლერები, მილიონი ცალი	1,3	96
მსუბუქი ავტომობილები, მილიონი ცალი	1,7	104
ხე-ტყის მასალა, მილიონი კუბური მეტრი	21,0	124
შიფერი, მილიარდი პირობითი ფილა	4,6	109
ავტომობილის ბენზინი, მილიონი ტონა	6,0	118

სასურსათო პროგრამის რეალიზაციის ღონისძიებათა განხორციელების შედეგად მოგვარდა ბევრი სასურსათო პროდუქტის — მცენარეული ცხიმების, მაკარონის ნაწარმის, პურის, მოუხდელი რძის პროდუქციის, კვერცხის ვაჭრობა. მაგრამ მათი ასორტიმენტი ყოველთვის როდი შეესაბამება მოსახლეობის მოთხოვნებს.

ხორცისა და რძის პროდუქტების რეალიზაციის გადიდების მიუხედავად, ვერ დავძლიეთ ხორცითა და ერბო-კარაქით მოსახლეობის უზრუნველყოფაში არსებული დაძაბულობა. ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში მათი გაყიდვა რეგლამენტირებული იყო. ამავე დროს ჯერ კიდევ ყველგან როდი გამოიყენება დაგეგმვის ახლებური წესის შესაძლებლობანი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა წარმოების ზრდის ხარჯზე უზრუნველყოფილ იქნეს პროდუქციის მატება ადგილობრივი მომარაგებისათვის.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა იქმნებოდა კარტოფილითა და ხილბოსტნეულით მოსახლეობის უზრუნველყოფის მხრივ, მათი ასორტიმენტი და ხარისხი ხშირად არ შეესაბამებოდა მოსახლეობის მოთხოვნას. კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და მომხმარებელთა კოოპერაციამ ჯეროვნად არ უზრუნველყვეს ამ პროდუქციის გაყიდვა ბაზრებზე. კვლავინდებურად მაღალია საბაზრო ვაჭრობის ფასების დონე.

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების კომპლექსური პროგრამის საფუძველზე ხორციელდებოდა ღონისძიებანი ნაწარმის გამოშვების ზრდის, ასორტიმენტის გაუმჯობესებისა და ხარისხის ამაღლების, მოსახლეობის მომსახურების განვითარებისათვის.

ამასთანავე სრულად ვერ კმაყოფილდება მოსახლეობის მოთხოვნა მრავალი სახეობის ტანსაცმელზე, ტრიკოტაჟის ნაწარმზე, არ არის დაძლეული ფეხსაცმლის მწვავე დეფიციტი ვაჭრობაში. მდგომარეობას ართულებს ის, რომ არ არის შეწონასწორებული საქონლის მოთხოვნა და მიწოდება მისი ასორტიმენტისა და ხარისხის მიხედვით. ვაჭრობაში დაგროვდა 1,4 მილიარდი მანეთის მოძველებული ფასონების, მოდელების, კონსტრუქციების გაუსაღებელი და გაუსაღებელი საქონელი.

სავაჭრო ორგანიზაციები არ ახორციელებენ ჯეროვან ღონისძიებებს, რათა გააფართოონ საქონლის გაყიდვა შინაგანი რეზერვებიდან რესურსების მოზიდვის ხარჯზე. არადამაკმაყოფილებლად ვითარდება საზოგადოებრივი კვება, არასასურსათო საქონლის, განსაკუთრებით ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის წესით დამზადებული პროდუქციის საკომისიო ვაჭრობა.

უფრო მეტი შემოდის ვაჭრობაში ხე-ტყისა და საშენი მასალა. 1986 წელთან შედარებით მისი გაყიდვა 1,2-ჯერ გაიზარდა. მაგრამ მოსახლეობის მოთხოვნა სრულად ვერ კმაყოფილდება, განსაკუთრებით ადგილობრივ საშენ მასალებზე. 1987 წლისათვის დაწესებული ამ საქონლის მოსახლეობისათვის მიყიდვის დავალება შესრულებულია 49 პროცენტით, ხოლო რუსეთის ფედერაციაში — 26 და ყაზახეთის სს რესპუბლიკაში — 36 პროცენტით.

უაღრესად სუსტად არის ორგანიზებული წარმოების მაქნისი ნარჩენების, უკონდიციო ნაწარმის გაყიდვა, მათი რეალიზაციის წლიური დავალება სანახევროდ არის შესრულებული. ამ პროდუქციის გაყიდვას ეწევა 2 ათასზე ცოტა მეტი მაღაზია, და აქედან მხოლოდ 600 მაღაზიაა სპეციალიზებული.

მოსახლეობისათვის გაწეული **ფასიანი მომსახურების** მოცულობამ შეადგინა 53,6 მილიარდი მანეთი და გაიზარდა 1986 წელთან შედარებით 8,1 პროცენტით. გეგმა შესრულებულია 95,2 პროცენტით. დავალებებს ვერ გაართვეს თავი რუსეთის ფედერაციამ, უკრაინის, უზბეკეთის, ყაზახეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის, ტაჯიკეთის, სომხეთის, თურქმენეთის სს რესპუბლიკებმა. ვერ უზრუნველყვეს მოსახლეობის ფასიანი მომსახურების რეალიზაციის გეგმების შესრულება იმ 47 სამინისტროსა და უწყების საწარმოო-ორგანიზაციებმა, რომლებსაც დაწესებული აქვთ ასეთი მომსახურების განვითარების სახელმწიფო დავალება.

არ არის დაძლეული დისპროპორციები სხვადასხვა სახეობის ფასიან მომსახურებაზე მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილებაში. მთელი მათი მოცულობის სამი მეოთხედი მოდის საყოფაცხოვრებო, საბინაო-კომუნალურ და სატრანსპორტო მომსახურებაზე.

ჯეროვანი განვითარება ვერ პოვა ფასიანი მომსახურების სფეროში საწარმოებში, მის უმეტეს ნაწილს შეადგენს ტრადიციული ხასიათის მომსახურება. სამუშაო ადგილის მიხედვით ძალზე მცირეა ფიზიკური კულტურისა და სპორტის, საკლუბო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მომსახურების სამუშაოთა წილი.

საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობამ შეადგინა 12,1 მილიარდი მანეთი და 1986 წელთან შედარებით გაიზარდა 12,3 პროცენტით. გეგმა შესრულებულია 101,1 პროცენტით. ამასთანავე ვერ უზრუნველყვეს გეგმის შესრულება უზბეკეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის სს რესპუბლიკებმა.

მოსახლეობას კვლავინდებურად უჭირს მიიღოს ცალკეულ სახეობათა საყოფაცხოვრებო მომსახურება (ბინის, ავეჯის, რთული საყოფაცხოვრებო ტექნიკის, ავტომობილების, შეკერილი, ტრიკოტაჟის ნაწარმის და სხვათა რემონტი). მოსახლეობის მრავალ საყვედურს იწვევს შეკვეთების შესრულების დაგვიანება და უხარისხო შესრულება. დაბალ დონეზეა სოფლის მცხოვრებთა საყოფაცხოვრებო მომსახურება.

მიუხედავად იმისა, რომ საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები წელიწადზე მეტია, რაც მეურნეობრიობის ახალ პირობებში მუშაობენ, ჯერ კიდევ სუსტად ინერგება სამეურნეო ანგარიში, ბრიგადული იჯარა, სახელშეკრულებო სისტემა და შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების სხვა ფორმები.

საქონელსა და მომსახურებაზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების სახელმწიფო სისტემის არსებითი შევსება უნდა გახდეს შრომითი საქმიანობის კოოპერაციული და ინდივიდუალური ფორმები.

საბინაო მშენებლობა

თანამიმდევრულად ხორციელდება პროგრამა, რომლის მიზანია უზრუნველყოს თითოეული ოჯახი ცალკე ბინით ან ინდივიდუალური სახლით. დაფინანსების ყველა წყაროს სახსრებით აშენდა 129,7 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის 2,3 მილიონი ახალი კეთილმოწყობილი ბინა. საბინაო პირობები გაიუმჯობესა 11 მილიონზე მეტმა კაცმა. ბინათმშენებლობის გეგმა მთლიანად გადაჭარბებით არის შესრულებული.

ამასთანავე ვერ უზრუნველყვეს სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების სახსრებით საცხოვრებელი სახლების ამოქმედების წლიური გეგმის შესრულება სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტრომ, სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტრომ, სსრ კავშირის სასუქების წარმოების სამინისტრომ, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ და მთელმა რიგმა სხვა უწყება-სამინისტროებმა, აგრეთვე საქართველოს, აზერბაიჯანის, ტაჯიკეთისა და სომხეთის სს რესპუბლიკებმა.

ქვეყნის საბინაო ფონდმა შეადგინა 4,3 მილიარდი კვადრატული მეტრი საერთო ფართობი. საშუალოდ ერთ მცხოვრებზე მოდის 15,2 კვადრატული მეტრი საერთო ფართობი, აქედან 10,3 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ამასთანავე 1987 წელს სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებში, ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დაბების საწარმო-ორგანიზაციებში რეგისტრირებულია დაახლოებით 13 მილიონი ოჯახი და მარტოხელა, რომლებიც დგანან საბინაო პირობების გაუმჯობესების აღრიცხვაზე.

კაპიტალურად არის შეკეთებული ერთ მილიონზე მეტი ბინა, რომელთა საერთო ფართობი 61 მილიონ კვადრატულ მეტრს შეადგენს. ამასთან მოდერნიზებულია, მათ შორის, კაპიტალური რემონტის სახსრების ხარჯზე რეკონსტრუქციაქმნილია, დაახლოებით 100 ათასი ბინა, რომელთა საერთო ფართობი 5,5 მილიონ კვადრატულ მეტრს შეადგენს. ამის შედეგად საბინაო პირობები გაიუმჯობესა 300 ათასზე მეტმა კაცმა.

მთელმა რიგმა სამინისტროებმა (სსრ კავშირის ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ და სხვებმა) ვერ შეასრულეს საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტის და ფარღალალა და ავარიული ბინების ლიკვიდაციის დავალებანი. მთლიანად ჩვენს ქვეყანაში ექსპლოატაციაში იყო 70 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი უკიდურესად დაძველებული (ფარღალალა) და ავარიული ბინები (სახელმწიფო, საზოგადოებრივი საბინაო ფონდისა და საბინაო მშენებლობის კოოპერატივების ფონდის 3 პროცენტი), სადაც დაახლოებით 7 მილიონი კაცი ცხოვრობს.

სახალხო განათლება და კულტურა

სხვადასხვა სახეობის სწავლებაში ჩაბმულია დაახლოებით 110 მილიონი კაცი.

ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის შესაბამისად ხორციელდებოდა სკოლაში ექვსი წლის ასაკის ბავშვთა მიღება. 1987/88 სასწავლო წელს პირველი კლასის პროგრამით სწავლობს ექვსი წლის ასაკის ბავშვთა 42 პროცენტი, მათგან 0,6 მილიონი — სკოლამდელ დაწესებულებებში. საქართველოს, ლიტვისა და ბელორუსიის სს რესპუბლიკებში ძირითადად განხორციელებულია გადასვლა ექვსი წლის ასაკიდან ბავშვთა სწავლებაზე.

1987 წელს საშუალო განათლება მიიღო 4 მილიონმა ქალიშვილმა და ჭაბუკმა.

მუდმივ სკოლამდელ დაწესებულებებში იზრდება 17 მილიონი ბავშვი, ანუ შესაბამისი ასაკის ბავშვთა 58 პროცენტი. ამასთან 1,2 მილიონი ბავშვი სკოლამდელ დაწესებულებებში იმყოფება დადგენილი სანიტარიული ნორმების გადამეტებით და 1,5 მილიონი ბავშვი მოსაწყობია სკოლამდელ დაწესებულებებში.

დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე გადაცემულია საექსპლოატაციოდ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები 1,5 მილიონი მოსწავლისათვის, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები — 137 ათასი მოსწავლისათვის, სკოლამდელი დაწესებულებანი — 678 ათასი ბავშვისათვის. 1986 წელთან შედარებით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ამოქმედება გაიზარდა 18 პროცენტით, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა — 61 პროცენტით, სკოლამდელი დაწესებულებებისა 7 პროცენტით. მაგრამ ამოქმედების გეგმა მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მიხედვით არის შესრულებული. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მიხედვით ვერ უზრუნველყვეს დავალებათა შესრულება სსრ კავშირის ენერგეტიკის სამინისტრომ, სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ნავთობგაზმშენის სამინისტრომ და სხვებმა. აგრეთვე რუსეთის ფედერაციამ, საქართველოს, ტაჯიკეთისა და ესტონეთის სს რესპუბლიკებმა; სკოლამდელი დაწესებულებებისა — სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტრომ, სსრ კავშირის სავზაო მანქანათმშენებლობის სამინისტრომ, რუსეთის ფედერაციამ, საქართველოს, მოლდავეთის, ტაჯიკეთის, სომხეთის სს რესპუბლიკებმა.

უმაღლესმა სასწავლებლებმა მოამზადეს 0,8 მილიონი, ხოლო საშუალო სპეციალურმა სასწავლებლებმა — 1,3 მილიონი სპეციალისტი.

საშუალო სპეციალურმა სასწავლებლებმა 1987 წელს მიიღეს 1,5 მილიონი მოსწავლე, ანუ 0,2 პროცენტით მეტი, ვიდრე 1986 წელს. უმაღლეს სასწავლებლებში მიღება წინა წელთან შედარებით შემცირდა ერთი პროცენტით და შეადგინა 1,1 მილიონი კაცი.

1987 წელს გამოიცა 2 მილიარდ ცალზე მეტი წიგნი და ბროშურა.

მოსახლეობას შორის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწევა 134 ათასი მასობრივი ბიბლიოთეკა, რომელთა წიგნების ფონდი 2 მილიარდ ცალს აღემატება, 138 ათასი საკლუბო დაწესებულება, რომლებიც 28 მილიონ კაცს იტევენ, 153 ათასი კინოდანადგარი, 2 ათასზე მეტი მუზეუმი და 0,6 ათასი პროფესიული თეატრი.

კინოსეანსებზე დასწრების რიცხვმა წლის მანძილზე შეადგინა დაახლოებით 4 მილიარდი, ანუ საშუალოდ 14 ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით. ჯერ კიდევ არის მთელი რიგი დიდი სასოფლო დასახლებული პუნქტები, სადაც წლის განმავლობაში არ უჩვენებიათ კინოფილმები.

დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე აშენებულია კლუბები და კულტურის სახლები 396 ათასი კაცისათვის. გეგმა მნიშვნელოვანწილად შეუსრულებელი დარჩა. არ აუმოქმედებიათ არც ერთი საკლუბო დაწესებულება სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს, სსრ კავშირის ნავთობმრეწველობის სამინისტროს.

ჯანმრთელობის დაცვა

მოსახლეობას სამედიცინო დახმარებას უწევდა 1,2 მილიონი ექიმი და 3,3 მილიონი საშუალო სამედიცინო პერსონალის პირი; ერთ ექიმზე მოდიოდა 230 მცხოვრები, ერთ მედდაზე (ფერშალსა და სხვებზე) — 86. გაიზარდა საავადმყოფო და ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებათა ქსელი.

საექსპლოატაციოდ გადაცემულია 75-ათასსაწოლიანი საავადმყოფოები. მათი ამოქმედების გეგმა ვერ შესრულდა. სერიოზული ჩამორჩენა დაუშვეს სსრ კავშირის სასუქის მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტრომ, აგრეთვე რუსეთის ფედერაციამ, საქართველოს, მოლდავეთის, სომხეთის სს რესპუბლიკებმა.

შესრულდა ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებათა ამოქმედების გეგმა; აშენებული დაწესებულებანი ცვლაში 207 ათას პაციენტს იღებენ.

შემცირდა გრიპით, ზედა სასუნთქი გზების მწვავე ინფექციებით და ტუბერკულოზით დაავადება, იკლო საყოფაცხოვრებო ტრავმების რიცხვმა. მაგრამ, შრომის უნარის დროებითი დაკარგვით ავადობის შემცირების მიუხედავად, ავადმყოფობის, ტრავმების, აგრეთვე ავადმყოფი ბავშვების მოვლის შედეგად გამოწვეული ეკონომიკური დანაკარგები მნიშვნელოვანია. ამ მიზეზით ყოველი მომუშავე წელიწადში საშუალოდ 9 დღეს არ გამოცხადებულა სამუშაოზე. მთლიანად სახალხო მეურნეობაში დანაკარგებმა მილიარდ სამუშაო დღეს გადააჭარბა.

მოსახლეობის მოთხოვნილება მაღალკვალიფიციურ სამედიცინო დახმარებაზე სრულად ვერ კმაყოფილდება. არსებითად ჩამორჩება სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დონე. სერიოზულად არის განსამტკიცებელი სამედიცინო დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

შრომის დაცვის დანახარჯები წლის მანძილზე გაიზარდა 7 პროცენტით და შეადგინა 6,3 მილიარდი მანეთი (50 მანეთი საშუალოდ ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით), მაგრამ წარმოებაში ტრავმატიზმის დონე ნელა კლებულობს.

კვლავინდებურად ვითარდებოდა სანატორიუმებისა და დასასვენებელი დაწესებულებების ქსელი. იმ მოქალაქეთა საერთო რიცხვმა, რომლებმაც იმკურნალეს და დაისვენეს აღნიშნულ დაწესებულებებში, შეადგინა 69 მილიონი, მათგან 42 მილიონი ტურისტულ მარშრუტებზე და ბაზებში იყო. ამასთანავე სრულად ვერ კმაყოფილდებოდა მოსახლეობის მოთხოვნილება ორგანიზებულ დასვენებაზე, არასაკმარისად ვითარდებოდა სპეციალიზებული სანატორიუმების ქსელი, ნელა მიმდინარეობდა ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების ათვისება.

გაფართოვდა სპორტულ ნაგებობათა ქსელი. ამავე დროს არ არის საკმარისი ამ ნაგებობებით, აგრეთვე სპორტული ინვენტარ-მოწყობილობით უზრუნველყოფა. მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაში ფიზიკური კულტურის დანერგვა არადამაკმაყოფილებლად ხორციელდებოდა. დასაქმებული მოსახლეობის მხოლოდ მესამედი მისდევს სისტემატურად ფიზკულტურასა და სპორტს.

ტრავმატიზმისა და სიკვდილიანობის შემცირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლამ. შრომისუნარიანი მოსახლეობის სიკვდილიანობა 1984 წელთან შედარებით შემცირდა 20 პროცენტით, ხოლო ამ ასაკის მამაკაცთა უბედური შემთხვევებით გამოწვეული სიკვდილიანობა — 37 პროცენტით. მიუხედავად ამისა, შრომისუნარიანი მოსახლეობის სიკვდილიანობის დონე კვლავინდებურად მაღალია.

1987 წელს ბავშვთა სიკვდილიანობა იყო 1986 წლის დონეზე — ერთ წლამდე ასაკის 25 ბავშვი 1000 დაბადებულზე (1985 წელს 26 ბავშვი). ბავშვთა სიკვდილიანობის არსებული დონე ჯერ კიდევ ძალზე მაღალია, რაც მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია ქალთა და ბავშვთა სამედიცინო დახმარების ორგანიზაციაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებთან.

გარემოს დაცვა

ხორციელდებოდა მუშაობა ატმოსფერული ჰაერისა და წყალსაცავების გაჭუჭყიანების შესამცირებლად, მიწის, წყლის, ტყის, მინერალური რესურსების უფრო რაციონალური გამოყენების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე ცხოველთა სამყაროს დასაცავად და აღსადგენად.

გაძლიერდა კონტროლი ბაიკალისა და ლადოგის ტბების რაიონებში გარემოს დაცვის გაუმჯობესების დამატებითი ღონისძიებათა განხორციელებისადმი. შეწყვეტილია მთელი რიგი პროექტების რეალიზაცია, რომლებიც არ შეესაბამებოდა თანამედროვე ეკოლოგიურ მოთხოვნებს, კერძოდ, დაუგავპილსის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, ფოსფორიტის მაღაროს დაპროექტება ესტონეთის სს რესპუბლიკაში.

სტაციონარული წყაროებიდან ჰაერის აუზში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა 2 მილიონი ტონით შემცირდა. წყლის საბრუნავი და ხელახალი გამოყენების არსებული სისტემების ექსპლოატაციისა და ახალი სისტემების ამოქმედების შედეგად წყლის მოხმარების ეკონომიამ სიდიდით ვოლგის საშუალო წლიურ ჩანადენს გადააჭარბა. ორგანიზებულია მთელი რიგი ახალი ნაკრძალები და სხვა დაცული ტერიტორიები.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების დანახარჯების საერთო თანხამ (მათ შორის სატყეო მეურნეობის გაძღოლის ხარჯებისამ) შეადგინა 10 მილიარდ მანეთზე მეტი, აქედან 2,6 მილიარდი მანეთი სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებისაა.

ამასთანავე პრაქტიკულად არ უმჯობესდება ატმოსფერული ჰაერის დაცვის მხრივ არსებული მდგომარეობა ქვეყნის მთელ რიგ ქალაქებში, სადაც დაძაბული ეკოლოგიური სიტუაციაა, კერძოდ, ჯამბულში, დუშანბეში, მოგილიოვში, ტოლიატში.

წყალდამცავ ნაგებობათა ამოქმედების დავალებების ჩაშლის შედეგად არ წყდება გაჭუჭყიანებული ჩამდინარე წყლების ჩაშვება საწარმოო კანალიზაციების სისტემაში ისეთი ობიექტებიდან, როგორიც არის სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს საქსკის ქიმიური ქარხანა (ყირიმის ოლქი), სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტროს კოლჩუგის ფერადი ლითონების დამუშავების ქარხანა (ვლადიმირის ოლქი), სსრ კავშირის ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „გროზნონავთობორგსინთეზი“ და მთელი რიგი სხვა საწარმოები, არ შესრულებულა კომუნალურ საწმენდ ნაგებობათა კომპლექსის ამოქმედების გეგმა ბაქოში.

სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტროს, სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის გზათა სამინისტროსა და ზოგიერთი სხვა სამინისტროს ცალკეულ საწარმოებში დაშვებულია მავნე ნივთიერებათა ზალპური გაფრქვევა ატმოსფეროში, ხოლო სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს, სსრ კავშირის ენერგეტიკის სამინისტროს, უკრაინის სს რესპუბლიკისა და რუსეთის სფს რესპუბლიკის საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროების, სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს და სხვა უწყებათა საწარმოებში — გაჭუჭყიანებული ჩამდინარე წყლების ავარიული გაშვება.

ბუნების დაცვის კანონმდებლობის დარღვევების გამო აჩერებდნენ ცალკეულ წარმოებათა მუშაობას სსრ კავშირის სამედიცინო და ბიოლოგიური მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის სასუქის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში, მიყენებული ზარალის ნაწილობრივ ანაზღაურების მიზნით საწარმოების მიმართ გამოყენებულია ეკონომიკური სანქციები; ბევრი ორგანიზაციის ხელმძღვანელები დაჯარიმდნენ.

• • •

დამთავრდა მეთორმეტე ხუთწლედის ორი წელიწადი. ქვეყანა შეუდგა გარდაქმნის გადამწყვეტ ეტაპს. 1988 წლის 1 იანვრიდან მოქმედებს კანონი სსრ კავშირის სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ.

შრომითი კოლექტივები, რომლებიც ემზადებიან ღირსეულად შეხვდნენ XIX საკავშირო პარტიულ კონფერენციას, მთელ ძალ-ღონეს ახმარენ ხუთწლედის მესამე წლის გეგმების შესრულების უზრუნველყოფას.

სსრ კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი.

ი. ფაღავა

ქართულმა საზოგადოებრიობამ დიდი დანაკლისი განიცადა. ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 1961 წლიდან სკკპ წევრი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ბავშვთა სნეულებების კათედრის გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ირაკლი ყარამანის ძე ფაღავა.

ი. ფაღავა დაიბადა 1918 წელს სურამში ცნობილი ექიმ-პედიატრის ოჯახში. 1939 წლიდან, სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, იგი მუშაობს ამავე ინსტიტუტის ბავშვთა სნეულებების კათედრაზე პროფესორ მ. უგრელიძესთან. 1960 წ. პროფესორ მ. უგრელიძის გარდაცვალების შემდეგ მას ირჩევენ კათედრის გამგედ, 1967 წელს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

1967-78 წლებში პროფესორი ი. ფაღავა საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორია, 1971 წლიდან კი საქართველოს პედიატრთა სამეცნიერო საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი. წლების განმავლობაში იგი ქ. თბილისის და რესპუბლიკის მთავარი პედიატრის თანამდებობაზე მუშაობს.

დიდია პროფესორ ი. ფაღავას ღვაწლი ქართული მეცნიერული პედიატრიის განვითარებაში. მის კალამს ეკუთვნის 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 5 მონოგრაფია, რომლებიც პედიატრიის აქტუალურ საკითხებს ეძღვნება. მან მოამზადა და გამოსცა ქართულ ენაზე პირველი სახელმძღვანელო პედიატრიაში „ბავშვთა სნეულებანი“, რომელიც ყველა პედიატრის სამაგიდო წიგნია. მისი ხელმძღვანელობით შესრულდა 82 საკანდიდატო და 10 სადოქტორო დისერტაცია.

პროფესორმა ი. ფაღავამ პირველად საბჭოთა კავშირში დაადგინა დედისა და ბავშვის სისხლის შეუთავსებლობის მნიშვნელობა ალერგიისადმი დისპოზიციაში. მისი გამოკვლევები დ. უზნაძის განწყობის ფენომენის შესახებ სომატურ პათოლოგიაში პრიორიტეტულია მსოფლიო ლიტერატურაში, პიონერულია აგრეთვე გამოკვლევები პუბერტოლოგიის დარგში.

პროფესორი ი. ფაღავა იყო ორატორული ნიჭით დაჯილდოებული სანიმუშო პედაგოგი, აღიარებული უანგარო მკურნალი, რომელსაც შეეძლო ავადმყოფ ბავშვთან სწრაფი კონტაქტის დამყარება, ზუსტი დიაგნოზის დასმა და მკურნალობის ტაქტიკის უნაკლოდ ჩამოყალიბება. იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა მშობელთა სახალხო უნივერსიტეტს, „ახალგაზრდა დედების კუთხეს“ ჟურნალ „საბჭოთა ქალში“, იყო ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისიის წევრი, დიდი სამედიცინო ენციკლოპედიის სარედაქციო კოლეგიის წევრი, ჟურნალ „საბჭოთა მედიცინის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიის პრობლემათა შემსწავლელი სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

წლების განმავლობაში იგი იყო სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სპეციალიზებული საბჭოს თავმჯდომარე. მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა და ჩამოყალიბდა ლაზეროთერაპიისა და რეფლექსოთერაპიის ცენტრი, პუბერტოლოგიის საპრობლემო ლაბორატორია და სხვ.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ დიდად დააფასეს პროფესორ ი. ფაღავას ღვაწლი. იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებით და მედლებით.

პროფესორ ი. ფაღავას ნათელი სახე, მისი სიკეთით სავსე გული, პედაგოგიური ალღო, სიახლის ალქმის ნიჭი, მისი მეცნიერული დამსახურება სამაგალითოდ დარჩება მადლიერი მოწაფეების, მეგობრებისა და ქართული სამედიცინო საზოგადოებრიობის გულში.

ჯ. ი. ბატიაშვილი, ვ. ი. ალავიძე, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ვ. მ. ხირაძე, გ. გ. ჩოგოვაძე, ა. ნ. თავხელიძე, ი. ა. მენაღარიშვილი, ა. ო. ღლონტი, თ. ნ. ონიანი, ა. ვ. ახათიანი.

ო. ივანაშვილი



გარდაიცვალა საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს საპროექტო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის „საქყოფპროექტის“ დირექტორი ოთარ მიხეილის ძე ივანაშვილი.

ო. ივანაშვილი დაიბადა 1925 წელს თბილისში. შრომა სკოლის წლებში დაიწყო სამხედრო ჰოსპიტალში. 1949 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. მუშაობდა ინჟინერ-კონსტრუქტორად ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სახელმწიფო სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროში. 1953 წელს გადაჰყავთ პარტიის თბილისის ოქტომბრის რაიკომში, სამი წლის შემდეგ კი დაინიშნა ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის მთავარ ინჟინრად.

1960-1986 წლებში ო. ივანაშვილი პარტიულ სამუშაოზეა — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის სამრეწველო-სატრანსპორტო განყოფილების გამგე, პარტიის პირველი მაისის რაიკომის პირველი მდივანი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე. ბოლო ხანს იგი საპროექტო-ტექნოლოგიურ ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა.

ო. მ. ივანაშვილი გამოცდილი პარტიული მუშაკი იყო. მას ახასიათებდა საქმის ღრმა ცოდნა, ერუდიცია, ერთგულება. მან გარკვეული წვლილი შეიტანა რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებაში.

ო. ივანაშვილი სხვადასხვა დროს არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრად, საქართველოს სსრ რამდენიმე მოწვევის უმაღლესი და თბილისის საქალაქო საბჭოების დეპუტატად.

პარტიამ და სახელმწიფომ ღირსეულად დააფასეს მისი გარჯა. იგი დაჯილდოებული იყო ორი შრომის წითელი დროშის, „ხალხთა მეგობრობის“, „საპატიო ნიშნის“ ორდენებით და მედლებით.

ო. მ. ივანაშვილი — კომუნისტი, მოქალაქე, უაღრესად თავმდაბალი ადამიანი დიდხანს ეხსომება ჩვენს საზოგადოებრიობას.

ამხანაგების ჯგუფი.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი

უკრაინელი ხელოვნების მუშაკები — მახარაძეში

წლეულს სრულდება მახარაძეს და უკრაინის სსრ გენიჩესკის რაიონის მშრომელთა შორის მეგობრობისა და სოციალისტური შეჯიბრების 50 წლისთავი. ორივე რაიონის მშრომელები მონდომებით ემზადებიან საიუბილეო თარიღის ღირსეული აღნიშვნისათვის.

მახარაძეში ჩამოვიდა გენიჩესკის რაიონის კულტურის მუშაკთა ჯგუფი. მათს შემადგენლობაში იყვნენ გენიჩესკის სამუსიკო სკოლის პედაგოგი ი. ტკურში, კულტორგანიზატორი ვ. ქელეზნიაკი, ბალეტმაისტერი ნ. სოცენკო, ქორეოგრაფი ვ. ფილიმონოვი. მათ მახარაძეში შეისწავლეს ქართული სიმღერები, ცეკვები. სტუმრები გაეცნენ რაიონის ღირსშესანიშნავ ადგილებს. იყვნენ საბრძოლო დიდების რესპუბლიკურ მუზეუმში, ინახულეს ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახლ-მუზეუმი.

▼ ▼

საგასტროლოდ ჩვენთან და საზღვარგარეთ

გუშინ ორი კვირით სახელმწიფო ფილარმონიის ინსტრუმენტული ტრიო „საუნჯე“ ძმები ნ. და რ. ნადირაშვილების და გ. ასანიშვილის შემადგენლობით საგასტროლოდ გაემგზავრა ვენესუელაში, კოლუმბიასა და მექსიკაში.

დღეს კი ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ჯ. ვერდის ოპერა „ტრუბადურში“ ჩვენს წამყვან მომღერლებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს დიდი თეატრის სოლისტი, რსფსრ დამსახურებული არტისტი ი. მოროზოვი.

მასალები რუბრიკისათვის მოამზადა ვ. კახრაძემ.

სპორტი

ნაბიჯი უკან

თბილისი. სპორტის სასახლეში დამთავრდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში [illegible] ... ქრობდით, რომ უკეთ გამოვიდოდნენ ჩვენი გუნდის ლიდერები, უწინარესად — გურამ გედეხაური, ზაურ ივანაშვილი და თენგიზ თედორაძე. უკეთ კი არა, საქართველოს ნაკრების წევრთა უმრავლესობამ შარშანდელთან შედარებით გაცილებით სუსტად იასპარეზა და რამდენიმე ნაბიჯით [illegible] თენგიზ თედორაძე (90 კგ) — IV, ზაურ ივანაშვილი (90 კგ) — VIII, გიორგი კოლუაშვილი (90 კგ) — XVIII, გურამ გედეხაური (100 კგ) — II, უშანგა თევდორაძე (100 კგ) — XI, ზაქრო ჩიკვილაძე (100 კგ) — XVIII, ვასილ ქარსელაძე (130 კგ) — VI, ზაურ ცხადაძე (130 კგ) — XI. [illegible]

ჩვენ კვლავ მოვუბრუნდებით „კლასიკოსთა“ საკავშირო ჩემპიონატს და ვრცელ წერილს შემოგთავაზებთ.

მოკლედ

კალათბურთი. გუშინ თბილისსა და დონეცკში დამთავრდა [illegible] 101:93 (53:52). გთავაზობთ აგრეთვე დონეცკში 23 და 24 იანვარს გამართული შეხვედრების შედეგებს: კაუნასის „ჟალგირისი“-მინსკის რტი — 82:65 (37:24), კიევის „სტროიტელი“-დონეცკის „შახტიორი“ — 110:96 (68:46), „სტროიტელი“-რტი — 96:85 (63:45), „შახტიორი“-„ჟალგირისი“ [illegible] ... ონატი, რომელშიც უკვე მესამედ მოიპოვა პირველი ადგილი შვედმა ჩოგბურთელმა მ. ვილანდერმა. ამჯერად მან ფინალში დაამარცხა ავსტრალიელი პატ კეში — 6:3, 6:7, 3:6, 6:1, 8:6. ქალთა შორის უძლიერესი იყო შ. გრაფი (გდრ), რომელმაც გადამწყვეტი შეხვედრა მოუგო კ. ევერტს (აშშ) [illegible]

ტელევიზია — სამშაბათი, 26 იანვარი

[illegible]

რედაქტორი ნ. ფოფხაძე.